




**USAID**  
 ამერიკელი საზღვარგარეთის  
 დახმარების აგენტობა

**IDFI**

ინფორმაციის თავისუფლების  
 განვითარების ინსტიტუტი



# ღია სამთავრობო მონაცემების საჭიროებების კვლევა საქართველოში

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)  
 USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის გრანტი:  
 ღია სამთავრობო მონაცემების (OGD) კვლევა

მარტი, 2024



# ღია სამთავრობო მონაცემების (OGD) კვლევა

OPEN GOVERNMENT DATA (OGD) SURVEY

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

THE USAID ECONOMIC GOVERNANCE PROGRAM

9 მარტი, 2024

კონტრაქტის ნომერი/CONTRACT NUMBER: 720AA18D00009

დავალების ნომერი/TASK ORDER NUMBER: 72011420F00001

„დელოიტ კონსალტინგი“ / DELOITTE CONSULTING LLP

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო | საქართველო

USAID | GEORGIA

ენა: ქართული

LANGUAGE: GEORGIAN

**შენიშვნა:** ამ ანგაჩიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამეხიკვედი ხაღხის მიეხ USAID-ის მეშვეობით გაწეული დახმარების შედეგად. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება ახ ემთხვეოდეს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის პოზიციას.

# აკრონიმები

მშპ	მთლიანი შიდა პროდუქტი
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
სსიპ	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
API	აკლიკაციის პროგრამირების ინტერფეისი
CRM	მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტი
CSV	მძიმით გამოყოფილი რიცხვები
EU	ევროკავშირი
ERP	საწარმოს რესურსების დაგეგმვა
GVA	დამატებითი ღირებულება
ICT	საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
IDFI	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
IT	ინფორმაციული ტექნოლოგიები
NACE	ეკონომიკური საქმიანობის სახეობათა სტატისტიკური კლასიფიკაცია
ODM	ღია მონაცემების მზაობა
ODRA	ღია მონაცემების მზაობის შეფასება
PSI	საჯარო საქმის ინფორმაცია
USAID	ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო

# შინაარსი




<b>მოკლე შეჯამება</b>	01
<b>შესავალი</b>	05
<b>მეთოდოლოგია</b>	09
<b>ღია მონაცემების ბაზრის ზომის დადგენა და საქართველოს შედეგები</b>	11
ღია მონაცემების კირდაკირი და არაკირდაკირი ბაზრის ზომის დადგენა და საქართველოს შედეგები	17
ღია მონაცემებით შექმნილი საშუალო ადგილების გამოთვლა და საქართველოს შედეგები	18
საქართველოს ღია მონაცემების ბაზრის განვითარების სცენარები	20
<b>ღია მონაცემების გამოყენების კუთხით მაღალი გავლენისა და კოტენციალის მქონე სექტორების გამოვლენა</b>	24
<b>ღია მონაცემების გამოყენების კუთხით მაღალი გავლენისა და კოტენციალის მქონე სექტორები საქართველოში</b>	30
<b>საქართველოში მოქმედი კომპანიების საჭიროებები და მოსაზრებები ღია მონაცემების ეკონომიკური კოტენციალის შესახებ - გამოკითხვის შედეგები</b>	32
გამოკითხვაში მონაწილეთა ზოგადი მონაცემები	33
კომპანიების დამოკიდებულება ღია მონაცემების კუთხით მათ შესაძლებლობებთან დაკავშირებით	36
კომპანიებში ღია მონაცემების გამოყენების პრაქტიკა	38
კერძო სექტორისთვის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები	42
კომპანიებში ღია მონაცემების გამოყენების ბარიერები და მათი დაძლევის გზები	52
თანამშრომლობა ღია მონაცემებთან დაკავშირებით	54
<b>მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობის შესახებ საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩო და პრაქტიკა</b>	56
ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრი	56
ღია მონაცემების კორტალი (DATA.GOV.GE)	61
<b>ჩაკომენდაციები</b>	62
<b>დანართი 1: ინფორმაციის ერთიან სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირებული მონაცემთა ბაზები</b>	64
<b>დანართი 2: საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე ღია მონაცემების მნიშვნელობა ცალკეული სექტორებისთვის და კარგი პრაქტიკის მაგალითები</b>	67





ციფრულმა ტრანსფორმაციამ და ახალი ტექნოლოგიების განვითარებამ ახალი შესაძლებლობები გააჩინა მონაცემების გამოყენებით საზოგადოებრივი კეთილდღეობის გასაზრდელად. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, მონაცემების ხელმისაწვდომობით გამოწვეული სოციალური და საზოგადოებრივი კეთილდღეობის არგუმენტთან ერთად, აქტუალური გახდა ხელმისაწვდომი მონაცემების კერძო სექტორის გამოყენებით მიღებული ეკონომიკური სარგებელი. საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, კერძო სექტორი მნიშვნელოვან მოგებას არა მხოლოდ ბიზნეს/ეკონომიკური საქმიანობით შექმნილი მონაცემებიდან, არამედ ღია სამთავრობო მონაცემების შედეგად იღებს.

ევროკავშირის ქვეყნებში ბოლო წლებში აქტიურად ტარდებოდა კვლევები ღია მონაცემების ხელმისაწვდომობით გამოწვეული შესაძლო ეკონომიკური სარგებლის შესახებ. აღნიშნული კვლევა, საქართველოს რეალობაში არის ერთ-ერთი პირველი ანალიტიკური ნაშრომი, რომელიც ევროკავშირის ქვეყნებში გამოყენებული მეთოდოლოგიების ადაპტირებითა და საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით, ადგენს ღია მონაცემების ეკონომიკურ ასპექტებს. ასევე, გამოყოფს, მაღალი გავლენისა და პოტენციალის მქონე სექტორებს, და აიდენტიფიცირებს იმ მონაცემთა ბაზებს, რომელთა ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ეკონომიკურად მომგებიანია საქართველოში მოქმედი კერძო კომპანიებისთვის.


საქართველოში ღია სამთავრობო მონაცემების ეკონომიკური პოტენციალის შესწავლის მიზნით **შემდეგი აქტივობები განხორციელდა:**


-  **საერთაშორისო ლიტერატურის მიმოხილვა** - შესწავლილ იქნა ღია მონაცემების ეკოსისტემის განვითარებისა და ეკონომიკური სარგებლის შესახებ არსებული ლიტერატურა.
-  **მეთოდოლოგიის შემუშავება** - ევროკავშირის ქვეყნებში გამოყენებული მეთოდოლოგიების ადაპტირებით, შემუშავდა მეთოდოლოგია და მეთოდები, რომლებიც ადგენენ ღია მონაცემების ბაზრის, მათ შორის პირდაპირი და არაპირდაპირი ბაზრის ზომას, ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის საშუალებით წარმოქმნილი ახალი სამუშაო ადგილების ოდენობას, ასევე, ავლენს ღია მონაცემებზე მაღალი გავლენისა და პოტენციალის მქონე სექტორებს.
-  **რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის განხორციელება** - კერძო სექტორის საჭიროებების გასარკვევად, გამოყენებულ იქნა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის კომბინირებულ მონაცემთა შეგროვების მეთოდები. მათ შორის, ონლაინ გამოკითხვა, ფოკუს ჯგუფ შეხვედრები და სიღრმისეული ინტერვიუები. ჯამში გამოიკითხა 100 კომპანია.


 **საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითები** - ცალკეული სექტორებისთვის, ღია მონაცემების მნიშვნელობაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, გამოვლინდა საერთაშორისო კარგი პრაქტიკის მაგალითები. მათ შორის, იდენტიფიცირდა მონაცემთა პორტალის გამოყენებით დაინტერესებული მხარეების მიერ შექმნილი აპლიკაციები / სერვისები.


 **კერძო-საჯარო დიალოგის (PPD) ხელშეწყობა** - ღია სამთავრობო მონაცემების საჭიროების საკითხებზე გაიმართა კერძო-საჯარო დიალოგი, რომლის ფარგლებშიც წარდგენილ იქნა კვლევის მთავარი მიგნებები და რეკომენდაციები.

კვლევის ფარგლებში ღია სამთავრობო მონაცემების კანონმდებლობისა და პრაქტიკის კუთხით რამდენიმე გამოწვევა გამოიკვეთა:

 ღია სამთავრობო მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, ქვეყანას არ აქვს ერთიანი ხედვა და სტრატეგია, ასევე, ღია სამთავრობო მონაცემების ერთიანი მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო.

 მართალია არსებობს ღია მონაცემების ოფიციალური პორტალი, მაგრამ აღსრულების მექანიზმების არარსებობის პირობებში, საჯარო დაწესებულებები მასზე მონაცემებს წლებია არ აქვეყნებენ/აახლებენ.

 ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის კანონის არასათანადო აღსრულების გამო, რთულია დადგინდეს რა მონაცემთა ბაზებია დაცული საჯარო დაწესებულებებში.

 კერძო, საჯარო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს შორის საჭიროა ღია სამთავრობო მონაცემების ეკონომიკური და სხვა საზოგადოებრივი კეთილდღეობის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

კვლევის ფარგლებში ევროკავშირის მეთოდოლოგიების ადაპტირებით, IDFI-მ საქართველოში ღია სამთავრობო მონაცემების შესახებ მნიშვნელოვანი გამოთვლების გაკეთება შეძლო. კერძოდ, დადგინდა, რომ საქართველოს ღია მონაცემების ბაზრის მიახლოებითი ზომა შეადგენს მშპ-ს 0.9%-ს, რაც 2023 წლის მოსალოდნელი მშპ-ს გათვალისწინებით, 714.2 მილიონ ლარს უტოლდება. მათ შორის, ღია მონაცემების პირდაპირი ბაზრის ზომა არის 153.9 მილიონი ლარი, ხოლო არაპირდაპირი ბაზრის ზომა 560.3 მილიონი ლარი. 2023 წელს საქართველოში ღია მონაცემებით პირდაპირ დასაქმებული იყო დაახლოებით 800 პირი, ხოლო ღია მონაცემებით ირიბად შექმნილი იყო დაახლოებით 2,912 სამუშაო ადგილი.


ღია მონაცემების ბაზრის განვითარების საბაზისო სცენარის მიხედვით, 2030 წლის მდგომარეობით, საქართველოს ღია მონაცემების ბაზრის ზომა იქნება დაახლოებით 1


მილიარდი ლარი, ხოლო მაღალი პროგრესის პირობებში - 1.4 მილიარდი ლარი. საბაზისო სცენარის მიხედვით, 2030 წლამდე საქართველოში ღია მონაცემებით დამატებით დასაქმდება 268 პირი, ხოლო მაღალი პროგრესის პირობებში - 3,802 პირი.

საქართველოზე ადაპტირებული მეთოდოლოგიით, ღია მონაცემების გამოყენების კუთხით ყველაზე მაღალი პოტენციალის და გავლენის მქონე სექტორებად შეფასდა საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები, სახელმწიფო მმართველობა, და ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორები. საშუალო პოტენციალისა და გავლენის მქონე სექტორებად კი ვაჭრობა, ტრანსპორტი და მრეწველობა.

ღია მონაცემებზე ყველაზე მაღალი პოტენციალის და გავლენის მქონე სექტორების იდენტიფიცირების შემდეგ, კვლევის ფარგლებში, აღნიშნული სექტორის წარმომადგენლების საჭიროებების გათვალისწინებით, გამოვლინდა მათთვის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები. გამოკითხვამ აჩვენა, რომ კომპანიები ყველაზე ხშირად ამუშავებენ და აინტერესებთ ბიზნესთან, ფინანსებთან და ეკონომიკასთან დაკავშირებული მონაცემები. თუმცა, თითოეული სექტორის რომელიმე რესპონდენტმა მაინც, ინტერესი გამოხატა ისეთ მონაცემებზე, რომლებიც დაკავშირებულია ტურიზმთან, სოფლის მეურნეობასთან, დემოგრაფიულ და სოციალურ საკითხებთან, ტრანსპორტთან, ასევე, საჭიროდ დასახელდა გეოსივრცითი მონაცემები / რუკები.

**თითოეული სექტორის მიერ დასახელებულ ყველაზე მნიშვნელოვან ღია სამთავრობო ბაზებს შორისაა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რეესტრები, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და ანგარიშგების პორტალები.** რესპონდენტთა დიდი ნაწილის მოსაზრებით, თუ აღნიშნული ბაზები API (აპლიკაციის პროგრამირების ინტერფეისი) ხელმისაწვდომი გახდება, მარტივად შეძლებენ მონაცემების დამუშავებას და სასურველი აპლიკაციების შექმნას.

 **საბანკო სექტორისთვის** სასურველი მონაცემების უმრავლესობა დაკავშირებულია მათი მომხმარებლების შესახებ დამატებით პერსონალურ ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობასთან. თუმცა, მათი ჩამონათვალი ასევე მოიცავს ისეთ ბაზებს, რომლებიც მათი შინაარსით წარმომადგენენ ღია სამთავრობო მონაცემთა ბაზებს და ფარავენ ისეთ საკითხებს, როგორცაა განათლება, ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა, გარემოს დაცვა, ტრანსპორტი, მშენებლობა და სხვა.

 **სადაზღვევო სექტორისთვის** სასურველი მონაცემთა ბაზები დაკავშირებულია ჯანდაცვის სერვისების და მედიკამენტების მოხმარების სრულყოფილ სტატისტიკასთან, გარდაცვალების სრულყოფილ სტატისტიკასთან, უძრავი ქონების საბაზრო ფასებთან, საკადასტრო კოდების მიხედვით დაზღვეულისა და დაზღვევის არმქონე ქონების იდენტიფიცირებასთან, მეტეოროლოგიურ მონაცემებთან და სხვა.






**ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორის** წარმომადგენლებისთვის სასურველი მონაცემთა ბაზები დაკავშირებულია საკადასტრო რუკებთან, ინფრასტრუქტურულ პროექტებთან, ბიზნეს სუბიექტებისა და საჯარო მოხელეების საკომუნიკაციო მონაცემებთან, სახელმწიფო შესყიდვებთან, ტურისტულ და სატრანსპორტო მონაცემებთან და სხვა.



**ვაჭრობის და ტრანსპორტის სექტორის** წარმომადგენლების მიერ სასურველ მონაცემთა ბაზებად დასახელდა ექსპორტ-იმპორტის დეტალური მონაცემები, ცალკეული პროდუქტების წარმოების და მოხმარების დეტალური სტატისტიკა, სატრანსპორტო საშუალებებში მგზავრთა ნაკადების შესახებ ინფორმაცია და სხვა.

კვლევის შედეგების საფუძველზე მომზადდა რეკომენდაციები, რომელთა უმეტესობა გულისხმობს ქვეყანაში ღია სამთავრობო მონაცემების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოსა და ეროვნული სტრატეგიის შემუშავებას, საჯარო დაწესებულებების მიერ კერძო სექტორისთვის პრიორიტეტად დასახელებული მონაცემთა ბაზების ღია ფორმატში ხელმისაწვდომობას, ღია სამთავრობო მონაცემების შესახებ ცნობიერების კამპანიების წარმოებას, და საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებას.



ციფრულმა ტრანსფორმაციამ და ახალი ტექნოლოგიების განვითარებამ ახალი შესაძლებლობები გააჩინა მონაცემების გამოყენებით საზოგადოებრივი კეთილდღეობის გასაზრდელად. მონაცემების შეგროვების, განკარგვისა და დამუშავების ინოვაციურმა მიდგომებმა / მექანიზმებმა დადებითი შედეგები მოიტანა ბევრი მიმართულებით: მონაცემების გამოყენება ხდება საჯარო პოლიტიკის შექმნის, განხორციელებისა და შეფასების დროს; კერძო კომპანიებსა და სერვისის მიმწოდებლებს აქვთ უნიკალური შესაძლებლობა გაზარდონ საკუთარი საქმიანობის ხარისხი და დაწერონ ინოვაციური სერვისები; მოქალაქეებსა და ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს აქვთ შესაძლებლობა მარტივად გაეცნონ სასურველ ინფორმაციას და ჩაერთონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. კვლევით ორგანიზაციებსა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებს აქვთ საშუალება მოამზადონ მონაცემებით გამდიდრებული კვლევები. მონაცემების ეფექტური წარმოება და ფართო ხელმისაწვდომობა ყველასთვის სარგებლის მომტანია. მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომების დანერგვით, საჯარო დაწესებულებებს შეუძლიათ გააუმჯობესონ სამთავრობო პროგრამებისა და საჯარო სერვისების მიწოდების ხარისხი. სხვადასხვა სექტორში საჯარო დაწესებულებების მიერ წარმოებული მონაცემების ხელმისაწვდომობით, კერძო კომპანიებს ეძლევათ შესაძლებლობა განავითარონ და გააუმჯობესონ ინოვაციური ბიზნეს მოდელები, შექმნან ახალი სერვისები და გაზარდონ მოგება. საჯარო მონაცემები მნიშვნელოვანია მოქალაქეების, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის ხელისუფლების საქმიანობის ეფექტური კონტროლისთვის.<sup>1</sup>

საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის მონაცემების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა ახალი კორონავირუსის გავრცელების პირობებშიც გამოჩნდა. საერთაშორისო გამოცდილებამ აჩვენა, რომ ქვეყნებმა სწორედ ღია ფორმატში ხელმისაწვდომი მონაცემების დამუშავებისა და გავრცელების გამართული სისტემების არსებობის პირობებში მოახერხეს წარმატებული ინიციატივებისა თუ აპლიკაციების დანერგვა, რომელთა მთავარი დანიშნულება პანდემიის გავრცელების პრევენცია, მოქალაქეთა სწორი ინფორმირება და ინოვაციური მიდგომებით პრობლემის გამკლავება გახლდათ.<sup>2</sup>

<sup>1</sup> World Bank Group. "World Development Report 2021: Data for Better Lives". ხელმისაწვდომია: <https://wdr2021.worldbank.org/>

<sup>2</sup> ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. "ღია მონაცემების მნიშვნელობა პანდემიასთან ბრძოლაში: საერთაშორისო მაგალითები და საქართველო". ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3sOq96Z>

საჯარო ინფორმაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებრივი კეთილდღეობის გაუმჯობესების, საჯარო სექტორის მოდერნიზაციისა და მმართველობის რეფორმირების განხორციელების თვალსაზრისით. ამ მხრივ, განსაკუთრებით დიდი პოტენციალით გამოირჩევა ღია მონაცემები, რომლებიც თავისუფლადაა ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მარტივია მათი დამუშავება და სხვადასხვა მიზნისთვის გამოყენება. ღია მონაცემების დახმარებით შესაძლებელია მნიშვნელოვანი ტენდენციებისა და გარემოებების იდენტიფიცირება და პროგნოზირება, ასევე, ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა, სერვისების გაუმჯობესება და ახალი ინოვაციური აპლიკაციების შექმნა.

ხელისუფლების მიერ წარმოებული მონაცემების ხელმისაწვდომის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები თავიდანვე აქცენტს აკეთებდნენ ინფორმაციაზე საყოველთაო წვდომის, როგორც ადამიანის ერთ-ერთი უფლების საკითხზე. მოგვიანებით აქცენტი გაკეთდა ასევე მონაცემების გამოქვეყნების ფორმატზეც. მნიშვნელოვნად იქნა აღიარებული, რომ დაინტერესებული მხარეების მხრიდან მონაცემების ხელახალი გამოყენების ნასახალისებლად აუცილებელია მონაცემის ღია, დამუშავებად ფორმატში ხელმისაწვდომობა (ე.წ. Open by default პრინციპი). განმარტებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სახის საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაცია ვერ ჩაითვლება ღია მონაცემად. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საჯარო ინფორმაცია შეიძლება იყოს ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები.<sup>3</sup> ამის ფონზე, ღია მონაცემები წარმოადგენს ელექტრონულ ფორმატში სტრუქტურირებული სახით არსებულ მონაცემებს. კერძოდ, ღია მონაცემი გულისხმობს ე.წ. ნედლ, პირველად მონაცემს, რომელიც გამოქვეყნებულია ელექტრონული ცხრილის შესაბამის გამოთვლად ფორმატში (მაგ.: CSV, Open XML), ან ხელმისაწვდომია API-ის (გამოყენებითი პროგრამების ინტერფეისი - Application Programming Interface)<sup>4</sup> საშუალებით. ღია სამთავრობო მონაცემები კი გულისხმობს საჯარო დაწესებულებების მიერ წარმოებული და საჯარო დაწესებულებებში დაცული მონაცემების ღია ფორმატში წარმოებასა და ხელმისაწვდომობას.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, მონაცემების ხელმისაწვდომობით გამონვეული სოციალური და საზოგადოებრივი კეთილდღეობის არგუმენტთან ერთად, აქტუალური გახდა ხელმისაწვდომი მონაცემების კერძო სექტორის გამოყენებით მიღებული ეკონომიკური სარგებელი. ამის საშუალებას მონაცემების გამოქვეყნების ფორმატი და კომპანიების მიერ მათი ხელახალი გამოყენების სიმარტივე იძლევა. კერძოდ, მონაცემების ღია, მანქანად-კითხვად ფორმატში ხელმისაწვდომობით, ტექნიკური

<sup>3</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 2, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „მ“.

<sup>4</sup> გამოყენებითი პროგრამების ინტერფეისი - პროგრამის კომპონენტი, რომელიც მოიცავს ფუნქციებს, კლასებსა და პროცედურებს და გამოიყენება ამავე პროგრამის სხვა კომპონენტებთან ან გარეშე პროგრამებთან ბრძანებებისა და მონაცემების მიმოცვლისთვის.

სპეციალისტებისთვის მარტივია მონაცემებთან მუშაობა და მათი მეშვეობით ახალი მომსახურებისა და აპლიკაციების შექმნა, ასევე, არსებული სერვისების გასაუმჯობესებლად, მონაცემების ინტეგრირება საკუთარ პლატფორმებთან, ბიზნეს თუ გასართობ სერვისებთან. გასათვალისწინებელია, რომ მონაცემების ღია ფორმატში ხელმისაწვდომობასთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია გამოქვეყნებული მონაცემების წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით განახლება და სიზუსტე.

ღია სამთავრობო მონაცემების ხელმისაწვდომობის ერთ-ერთი მთავარი გარანტი ამ კუთხით ქვეყნის ერთიანი ხედვის, საკანონმდებლო ჩარჩოსა და ღია მონაცემების ერთიანი სტანდარტების ქონაა. სამწუხაროდ, საქართველოში მიღებული არ არის ინფორმაციის თავისუფლების შესახებ დამოუკიდებელი საკანონმდებლო აქტი ან ღია მონაცემების ერთიანი სტანდარტები.

ევროკავშირთან ინტეგრაციის ფონზე, საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ რეგულაციებთან ჰარმონიზაციის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ღია მონაცემების დირექტივის (Open Data Directive)<sup>5</sup> გათვალისწინება. საგულისხმოა, რომ ევროკომისიის მიერ საქართველოს შესახებ მომზადებულ ევროკავშირის გაფართოების პაკეტის 2023 ანგარიშში აღნიშნულია, რომ ქვეყნის კანონმდებლობა მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს აღნიშნული დირექტივის მოთხოვნებს.<sup>6</sup> ევროკავშირის დირექტივა მეტწილად ორიენტირებულია საჯარო ინფორმაციის გამოყენების ეკონომიკურ და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ასპექტებზე. ის ევროკავშირის წევრ ქვეყნებს მოუწოდებს, რაც შეიძლება მეტი საჯარო მონაცემები გახადონ ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისთვის, მათ მიერ ხელახალი გამოყენების მიზნით. იგი ასევე მოუწოდებს ქვეყნებს რაც შეიძლება მეტი დოკუმენტი და ინფორმაცია აწარმოონ და გამოაქვეყნონ ღია ფორმატში (ე.წ. “open by design” და “open by default” პრინციპები). ასევე, ინოვაციების მხარდასაჭერად და ღია სამთავრობო მონაცემების ხელმისაწვდომობისა და ხელახალი გამოყენების გასაზრდელად, წახალისებულია ინვესტიციების ჩადება მონაცემებზე დაფუძნებული პროგრამული უზრუნველყოფის დასაწერად. მოგვიანებით, აქტი გავრცელდა ახალ ორგანოებზე (მაგ. ბიბლიოთეკები, მუზეუმები, არქივები), დაწესდა მოსაკრებლის ზღვრული ლიმიტი, ასევე განისაზღვრა მოთხოვნები სამთავრობო ინფორმაციის ციფრულად წაკითხვადი ფორმატისთვის. წინამორბედი რეგულაციისგან განსხვავებით, ახალი დირექტივა დამატებით მოიცავს საჯარო ინფორმაციის უფრო ფართო სპექტრს, მათ შორის წყლის, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და საფოსტო მომსახურების სექტორში მოქმედი სუბიექტების ხელთ არსებულ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მონაცემებს, და საჯარო დაფინანსების შედეგად წარმოებულ კვლევებსა და მონაცემებს.

<sup>5</sup> Directive (EU) 2019/1024 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on open data and the re-use of public sector information. ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TX/?qid=1561563110433&uri=CELEX:32019L1024>

<sup>6</sup> European Commission. Georgia 2023 Report. ხელმისაწვდომია: [https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/georgia-report-2023\\_en](https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/georgia-report-2023_en)

რაც შეეხება გამოყენების საფასურს, დირექტივა ადგენს, რომ მონაცემები უნდა იყოს უფასოდ ხელმისაწვდომი წინასწარ განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევების გარდა, თუმცა ასეთ შემთხვევებშიც, მიღებული შემოსავალი არ უნდა აღემატებოდეს საჯარო უწყების მიერ მონაცემების დამუშავების და გასაჯაროების ხარჯს.

დირექტივა განსაკუთრებულად გამოყოფს „მაღალი ღირებულების მონაცემთა ბაზების“ და შესაბამისად, ექვს პრიორიტეტულ კატეგორიას განსაზღვრავს:

- გეოლოკაციური მონაცემები (Geospatial)
- ეკოლოგიური და გეოლოგიური მონაცემები (Earth observation and environment)
- მეტეოროლოგიური მონაცემები
- სტატისტიკური მონაცემები
- კომპანიები და კომპანიების მფლობელობა
- მობილობა (Mobility)

დირექტივაში მოცემული განმარტების თანახმად, მოცემულ ჩამონათვალში განსაზღვრულია ისეთი კატეგორიის მონაცემები, რომელთა გამოყენება ასოცირდება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან სოციალურ, ეკოლოგიურ და ეკონომიკურ სარგებელთან. შესაბამისად, ამ კატეგორიის მონაცემების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით დაწესებულია შემდეგი მოთხოვნები: ა) უფასოდ ხელმისაწვდომი; ბ) დამუშავებად ფორმატში ხელმისაწვდომი; გ) API-ის საშუალებით ხელმისაწვდომი; დ) ერთიანად გადმოწერადი (provided as a bulk download).

ევროკავშირის ქვეყნებში ბოლო წლებში აქტიურად ტარდებოდა კვლევები ღია მონაცემების ხელმისაწვდომობით გამოწვეული შესაძლო ეკონომიკური სარგებლის შესახებ. აღნიშნული კვლევა არის ერთ-ერთი პირველი ანალიტიკური ნაშრომი, რომელიც ევროკავშირის ქვეყნებში გამოყენებული მეთოდოლოგიების ადაპტირებითა და საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით, ადგენს ღია მონაცემების ბაზრის, მათ შორის პირდაპირი და არაპირდაპირი ბაზრის ზომას, ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის საშუალებით წარმოქმნილი ახალი სამუშაო ადგილების ოდენობას, ასევე, ავლენს ღია მონაცემებზე მაღალი გავლენისა და პოტენციალის მქონე სექტორებს. ამავდროულად, კერძო სექტორის წარმომადგენლების მოსაზრებებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, კვლევამ იდენტიფიცირება გაუკეთა იმ მონაცემთა ბაზებს, რომელთა ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ეკონომიკურად მომგებიანია საქართველოში მოქმედი კერძო კომპანიებისთვის.



ღია სამთავრობო მონაცემების საჭიროების კვლევა ითვალისწინებდა საქართველოს ღია მონაცემების ეკონომიკური ასპექტების და საქართველოში მოქმედი კომპანიების საჭიროებების დადგენას. კვლევა წარიმართა ევროკავშირის ქვეყნებში გამოყენებული მეთოდოლოგიების ადაპტირებით. მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ევროპის მონაცემთა პორტალის მიერ ჩატარებულ კვლევას (European Data Portal, 2020)<sup>7</sup>, რომელიც ღია მონაცემების ეკოსისტემის და მისი ეკონომიკური მაჩვენებლების შესწავლის კუთხით, ერთ-ერთ ყველაზე ახალ და სრულყოფილ ნაშრომს წარმოადგენს. კვლევის ფარგლებში გამოყენებული ცალკეული მეთოდების საქართველოს რეალობაზე ადაპტირება ეფუძნება მსჯელობას და კვლევის ავტორების დაშვებებს, რომელთა შესახებ დეტალური აღწერა წარმოდგენილია ქვემოთ, შინაარსობრივ ანალიზთან ერთად.

საკითხების მიხედვით, გამოყენებული მეთოდების ზოგადი აღწერა გამოიყურება შემდეგნაირად:

## ღია მონაცემების ბაზრის ზომის დადგენა

საქართველოს ღია მონაცემების ბაზრის ზომის დასადგენად გამოყენებულ იქნა ორი განსხვავებული მეთოდი. მიღებულ შედეგებს შორის დაფიქსირდა უმნიშვნელო განსხვავება, რაც ამ მეთოდების გამოყენებას მეტ ლეგიტიმაციას სძენდა.

**მეთოდი #1** - საქართველოს ღია მონაცემების ეკოსისტემის განვითარების დღევანდელი მდგომარეობის შესატყვის პერიოდში, ევროკავშირის ქვეყნების ღია მონაცემების ბაზრის ზომის მაჩვენებლის განსაზღვრა, რელევანტური კვლევის შედეგების შერჩევით.

**მეთოდი #2** - ევროკავშირის ქვეყნების ღია მონაცემების ბაზრის ზომის 2020 წლის განსაზღვრულ მაჩვენებელში (1.19%), საქართველოს ღია მონაცემების განვითარების შესატყვის საფეხურზე (ღია მონაცემების მზაობის ინდექსის მიხედვით) მყოფი ქვეყნების მიახლოებითი მაჩვენებლის განსაზღვრა.

## პირდაპირი და არაპირდაპირი ბაზრის ზომის განსაზღვრა

ღია მონაცემების პირდაპირი და არაპირდაპირი ბაზრის ზომები დადგინდა Vickery (2011)<sup>8</sup> და Shakespeare (2013)<sup>9</sup> კვლევებით დადგენილი პროპორციების მიხედვით.

<sup>7</sup> E. Huyer et. al, "The Economic Impact of Open Data Opportunities for Value Creation in Europe", European Data Portal, January 2020, გვ. 22. ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/lswD3>

<sup>8</sup> G. Vickery, "Open Data Maturity "Review of Recent Studies on PSI Re-Use and Related Market Development", Information Economics, Paris, ოქტომბერი 2011. ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/uHJY7>

<sup>9</sup> S. Shakespeare, "Shakespeare Review: An Independent Review of Public Sector Information". მაისი 2013. ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/sxEG5>

## **ღია მონაცემებით შექმნილი სამუშაო ადგილების გამოთვლა**

ღია მონაცემებით შექმნილი სამუშაო ადგილების გამოსათვლელად გამოყენებულია ევროკავშირის კვლევებში აპრობირებული დაშვება, რომ ღია მონაცემთა მზაობის დაბალ საფეხურზე მყოფ ქვეყანაში ღია მონაცემების ბაზარზე დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი 20%-ით ჩამორჩება ზემდგომ საფეხურზე მყოფ ქვეყანაში დასაქმების მაჩვენებელს.

## **ღია მონაცემებზე მაღალი გავლენისა და პოტენციალის მქონე სექტორების გამოვლენა**

ეკონომიკური სექტორების (NACE) მიხედვით ღია მონაცემების პოტენციალი შეფასდა ევროკავშირის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, რომლის მიხედვით, მაღალი გავლენის და მაღალი პოტენციალის მქონე სექტორების შეფასება ხდება სამი სხვადასხვა ინდიკატორის მიხედვით: ა) გაციფრულების დონე; ბ) ღია მონაცემთა მიწოდების შესაძლებლობა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და გ) პოტენციალის ეკონომიკური გავლენა.

## **საქართველოში მოქმედი კომპანიების საჭიროებების კვლევა**

კერძო სექტორის საჭიროებების გასარკვევად, გამოყენებულ იქნა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის კომბინირებულ მონაცემთა შეგროვების მეთოდები. კვლევა დაეყრდნო მსოფლიო ბანკის ღია მონაცემების მზაობის შეფასების (ODRA)<sup>10</sup> და ევროპის ღია მონაცემების პორტალის ღია მონაცემების ხელახალი გამოყენების კვლევის მეთოდოლოგიას,<sup>11</sup> და მოხდა საქართველოს კონტექსტზე ადაპტაცია.

<sup>10</sup> "Open Data Readiness Assessment User's Guide", World Bank Group, აპრილი 2015. ხელმისაწვდომია: [http://opendata-toolkit.worldbank.org/docs/odra/odra\\_v3.1\\_userguide-en.pdf](http://opendata-toolkit.worldbank.org/docs/odra/odra_v3.1_userguide-en.pdf)

<sup>11</sup> J. Berend et. al, "Re-using Open Data: A study on Companies Transforming Open Data into economic & societal value", European Data Portal, Luxembourg, ივლისი 2020. ხელმისაწვდომია: [https://data.europa.eu/sites/default/files/re-using\\_open\\_data.pdf](https://data.europa.eu/sites/default/files/re-using_open_data.pdf)

# ღია მონაცემების ბაზრის ზომის დადგენა და საქართველოს შედეგები



ღია მონაცემების ბაზრის ზომის დასადგენად ჩატარებული კვლევების მიმოხილვა აჩვენებს, რომ სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევის მეთოდოლოგია განსხვავებულია. კვლევები მოიცავს მაკრო და მიკროეკონომიკურ მიდგომებს, რომელიც მიზნად ისახავს პირველადი და მეორადი მონაცემების საფუძველზე ღია მონაცემების ბაზრის ზომის რაოდენობრივ განსაზღვრას. ასევე, ევროკავშირის ქვეყნების ღია მონაცემების ბაზრის ზომის დასადგენად იყენებენ ექსტრაპოლაციის მეთოდს, ხოლო საწყის შეფასებად აღებულია MEPSIR (2006)<sup>12</sup> და Vickery (2011)<sup>13</sup> კვლევებით დადგენილი მონაცემები. ღია მონაცემების ბაზრის ზომის შეფასებისას, აქტიურად გამოიყენება მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ მისი წილის დადგენა.

სხვადასხვა პერიოდში, განსხვავებული მეთოდოლოგიით ჩატარებული კვლევებით მიღებული შედეგები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.<sup>14</sup>

კვლევა	კვლევის შედეგები	გამოთვლის წელი	მშპ-ს მიმართ წილი
PIRA 2000	68 მლრდ ევრო - EU-ს 15 ქვეყანაში PSI-ის პირდაპირი ბაზრის ზომა	1999	2.69%
MEPSIR 2006	27 მლრდ ევრო - EU-ს 27 ქვეყანასა და ნორვეგიაში PSI-ის პირდაპირი ბაზრის ზომა	2005	0.91%
Pollock 2010	4.5 მლრდ ფუნტი სტერლინგი - დიდი ბრიტანეთის PSI-ის ბაზრის ზომა	2007	1.09%
Vickery 2011	140 მლრდ ევრო - ევროკავშირის 27 ქვეყნის PSI-ის ბაზრის ზომა	2009	1.10%

<sup>12</sup> M. Dekkers et. al "MEPSIR Measuring European Public Sector Information Resources", მარტი 2006. ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/cruKN>

<sup>13</sup> G. Vickery, "Open Data Maturity "Review of Recent Studies on PSI Re-Use and Related Market Development", Information Economics, Paris, ოქტომბერი 2011. ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/uHJY7>

<sup>14</sup> E. Huyer et. al, "The Economic Impact of Open Data Opportunities for Value Creation in Europe", European Data Portal, January 2020, გვ. 22. ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/lswD3>



Buergi Schmelz 2013	2.2. მლრდ შვეიცარიული ფრანკი - შვეიცარიაში ღია სამთავრობო მონაცემების ბაზრის ზომა	2013	1.27%
Deloitte 2013	6 მლრდ ფუნტი სტერლინგი - დიდი ბრიტანეთის ღია სამთავრობო მონაცემების ბაზრის ზომა	2011	1.42%
McKinsey 2013	3.380.8 მლრდ დოლარი - ღია მონაცემების გლობალური ბაზრის ზომა	წელი არ არის მითითებული	4.26%
Lateral Economics 2014	22 მლრდ ავსტრალიური დოლარი - ავსტრალიაში ღია მონაცემების ბაზრის ზომა	2013	1.40%
DemosEuropa და WISE 2014	200 მლრდ ევრო მონაცემების ბაზარი და 10 მლრდ ევრო ღია სამთავრობო მონაცემების ბაზარი EU-ს 28 ქვეყანაში	2020	0.07%
DotEcon 2015	1.1 მლრდ ფუნტი სტერლინგი - დიდი ბრიტანეთის PSI-ის ბაზრის ზომა	2005	0.29%
EDP 2015	193-209 მლრდ ევრო - EU-ს 28 ქვეყნის ღია მონაცემების ბაზრის ჯამი	2016	1.35%
ODI და Lateral Economics 2016	ღია მონაცემებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულება მერყეობს მშპ-ს 0.4%-1.4% შორის	წელი არ არის მითითებული	1.20%
ASEDIE 2019	1.7 მლრდ ევრო - ესპანეთში PSI-ს საქონლისა და მომსახურების გაყიდვისგან მიღებული სავაჭრო ბრუნვის ოდენობა	2016	0.53%
IDC Data Landscape 2019	50.4 მლრდ ევრო - EU მონაცემთა ბაზრის პირდაპირი ზომა; 335.5 მლრდ ევრო - EU მონაცემების ბაზრის არაპირდაპირი ზომა	2017	2.18%
World Wide Web Foundation 2018 (ღია მონაცემების ბარომეტრი)	477.3 მლრდ ევრო - EU 28 ქვეყნისთვის	2020	0.13%

**წყარო:** European Data Portal (2020)

აღნიშნული საკითხის ირგვლივ არსებული კვლევები არაერთგვაროვან მეთოდოლოგიას ეყრდნობოდა. შესაბამისად, ევროკავშირის ქვეყნებში 2020 წელს არსებული ღია მონაცემების ბაზრის ზომის შესაფასებლად, სხვადასხვა დროს მიღებული შედეგების საშუალო მაჩვენებელი გამოვიყენეთ. კერძოდ, კვლევების თანახმად, მშპ-ს საშუალო წილი 1.33%-ს, ხოლო მედიანა 1.19%-ს შეადგენდა. საშუალო მეთოდის გამოყენების ერთ-ერთ წინაპირობად განხილულია ის ფაქტი, რომ სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევებით არ დასტურდება მშპ-ში ღია მონაცემთა ბაზრის წილის მკაფიო ზრდა წლების განმავლობაში.

გამომდინარე იქედან, რომ არსებული მეთოდოლოგიების (მაგალითად, MEPSIR (2005) და Vickery (2011)) საქართველოს მაგალითზე მორგებაში შეზღუდულები ვართ, ღია მონაცემების მიახლოებითი ბაზრის ზომის დასადგენად ამ კვლევისთვის გამოყენებულ იქნა ევროკავშირის ქვეყნების მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით ღია მონაცემების ბაზრის წილის ის დადგენილი მაჩვენებლები, რომლებიც რელევანტურია საქართველოს ღია მონაცემების ეკოსისტემის განვითარების არსებულ ეტაპთან. აღნიშნული მიზნით გამოყენებულ იქნა ორი მეთოდი:

**მეთოდი #1** - საქართველოს ღია მონაცემების ეკოსისტემის განვითარების დღევანდელი მდგომარეობის შესატყვის პერიოდში, ევროკავშირის ქვეყნების ღია მონაცემების ბაზრის ზომის მაჩვენებლის განსაზღვრა, რელევანტური კვლევის შედეგების შერჩევით.

**მეთოდი #2** - ევროკავშირის ქვეყნების ღია მონაცემების ბაზრის ზომის 2020 წლის განსაზღვრულ მაჩვენებელში (1.19%), საქართველოს ღია მონაცემების განვითარების შესატყვის საფეხურზე (ღია მონაცემების მზაობის ინდექსის მიხედვით) მყოფი ქვეყნების მიახლოებითი მაჩვენებლის განსაზღვრა.


საქართველოს ღია მონაცემების ბაზრის ზომის საბოლოო საზომად აღებულ იქნა ამ ორი მეთოდით მიღებული შედეგის საშუალო მაჩვენებელი.

**მეთოდი #1** - დღეის მდგომარეობით, ევროკავშირის ქვეყნების ღია მონაცემების ეკოსისტემის განვითარების ეტაპი მნიშვნელოვნად უსწრებს საქართველოს განვითარების ეტაპს. მაგალითად, ევროპულ მონაცემთა პორტალების კვლევის შედეგების მიხედვით, ღია მონაცემების მზაობის (Open Data Maturity)<sup>15</sup> 2021 წლის შეფასებაში, საქართველოს მაჩვენებელმა მხოლოდ 17% შეადგინა, რითაც შეფასებული 34 ქვეყნიდან ბოლო ადგილი დაიკავა. ამავე კვლევით, ევროკავშირის ქვეყნების ღია მონაცემთა მზაობის საშუალო მაჩვენებელი 78%-ს შეადგენდა. რადგან ღია მონაცემების მზაობის შეფასებითი დოკუმენტები ხელმისაწვდომია 2015 წლიდან და 2015 წლის მდგომარეობით, ხოლო ევროკავშირის ქვეყნები ღია მონაცემების ეკოსისტემის განვითარების ბევრად

---

<sup>15</sup> D. Hesteren et. al, "Open Data Maturity Report 2021", European Commission, იანვარი 2022. ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/hHJ59>

მაღალ ეტაპზე იმყოფებოდნენ, ვიდრე საქართველო, დღევანდელი მოცემულობით, შეუძლებელია დაშვების ამგვარი შერჩევა საქართველოს ღია მონაცემების ბაზრის ზომის განსასაზღვრად. თუმცა, ღია მონაცემების მზაობის მაჩვენებლების ზრდის ტემპის, ასევე სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლის (მაგალითად, ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლები) გათვალისწინებით, საქართველოს ღია მონაცემების ეკოსისტემის დღევანდელი განვითარება შესაძლებელია გაუთანაბრდეს ევროკავშირის ქვეყნების განვითარების 2002-2004 წლების პერიოდს.<sup>16</sup> მაგალითად, 2016-2022 წლებში ევროკავშირის ქვეყნების ღია მონაცემების მზაობის მაჩვენებელი 48%-დან 75%-მდე გაიზარდა. თუ დავუშვებთ, რომ წინა წლებშიც ზრდის მსგავსი ტემპი არსებობდა, საქართველოს ღია მონაცემების დღევანდელი განვითარება დაახლოებით შეესაბამება 2003 წელს. ასევე, მაგალითად, საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური მაჩვენებლები უთანაბრდება ევროკავშირის შედარებით დაბალი ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყნების 2002-2004 წლების მაჩვენებლებს. მაგალითად, საქართველოს ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის 2022 წლის მაჩვენებელი (\$6,671), დაახლოებით უტოლდება ლიეტუვის (\$6,700), ლატვიის (\$6,379) და პოლონეთის (\$6,681) 2004 წლის მაჩვენებლებს, ესტონეთის 2003 წლის მაჩვენებელს (\$7,204), ასევე, ხორვატიის (\$6,219), სლოვაკეთის (\$6,565) და უნგრეთის (\$6,655) 2002 წლის მაჩვენებლებს.



**წყარო:** Open Data Maturity Report (2022)

<sup>16</sup> W. Carrara et. al, "Creating Value Through Open Data", European Data Portal (EDP), ნოემბერი 2015. გვ. 9. ხელმისაწვდომია: [https://data.europa.eu/sites/default/files/edp\\_creating\\_value\\_through\\_open\\_data\\_0.pdf](https://data.europa.eu/sites/default/files/edp_creating_value_through_open_data_0.pdf) შენიშვნა: კვლევის თანახმად, 2005 წლისთვის, EU-ის წევრთა 63% Beginner-ად შეგვიძლია დავაკვალიფიციროთ, თუმცა, ანგარიშში ქვეყნები დაკონკრეტებული არ არის.

დადგენილ პერიოდს ყველაზე მეტად ემთხვევა MEPSIR (2006)-ის კვლევა, რომელიც სწავლობს 2005 წლის მდგომარეობით, ევროკავშირის ქვეყნებისა და ნორვეგიის ღია მონაცემების პირდაპირი ბაზრის ზომას და ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ ნაშრომად მიიჩნევა. აღნიშნული კვლევით მიღებული შედეგი შემდგომ წლებში არაერთი კვლევის ექსტრაპოლაციის მეთოდით ჩატარების საფუძველი გამხდარა. შესაბამისად, საქართველოს დღევანდელი ღია მონაცემების ბაზრის ზომის დასადგენად, ერთ-ერთ მაჩვენებლად გამოყენებულ იქნა ამ კვლევით დამდგარი შედეგი, რომლის მიხედვითაც, 2005 წელს ევროკავშირის ღია მონაცემების მთლიანი ბაზარი შეადგენდა 0.91%-ს.

**მათილი #2** - ღია მონაცემების ბაზრის ზომის შემსწავლელ ლიტერატურაში, ღია მონაცემების მზაობის სხვადასხვა საფეხურზე მყოფი ქვეყნებისათვის, მშპ-ში ღია მონაცემების ბაზრის წილის დადგენილ სხვაობებს ვერ ვხვდებით. თუმცა, ევროკავშირის კვლევაში არსებობს დაშვება, რომლის თანახმადაც, ღია მონაცემთა მზაობის დაბალ საფეხურზე მყოფ ქვეყანაში, ღია მონაცემების ბაზარზე დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი 20%-ით ჩამორჩება ზემდგომ საფეხურზე მყოფ ქვეყანაში არსებული დასაქმების მაჩვენებელს. აღნიშნული დაშვება გამყარებულია არგუმენტით, რომ ღია მონაცემების მაღალი განვითარების მქონე ქვეყნებს აქვთ მეტი შესაძლებლობა ამ სფეროში დასაქმოს მეტი ადამიანი. მსგავსი ლოგიკით შეგვიძლია დავუშვათ, რომ ღია მონაცემების მაღალი განვითარების მქონე ქვეყნებს აქვთ მეტი პოტენციალი ჰქონდეთ ღია მონაცემების უფრო დიდი ბაზარი, შესაბამისად, გაიზარდოს მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტში.

თუ დავუშვებთ, რომ დასაქმების მაჩვენებლების მსგავსად, მშპ-ში ღია მონაცემების ბაზრის წილის მაჩვენებლები ასევე 20%-ით დაბალია განვითარების თითოეულ ქვემდგომ საფეხურზე მყოფ ქვეყნებში, მაშინ, ქვემოთ წარმოდგენილი ფორმულით სხვადასხვა საფეხურზე მყოფი ქვეყნის ღია მონაცემების ბაზრის ზომის მაჩვენებლების გამოთვლა შეგვიძლია. ფორმულაში ევროპის ქვეყნების მშპ-ში ღია მონაცემების ბაზრის ზომად მიჩნეულია 2020 წლის კვლევით<sup>17</sup> დადგენილი მაჩვენებელი - 1.19%. ღია მონაცემების განვითარების განსხვავებულ საფეხურებზე მყოფი ქვეყნების რაოდენობრივი მაჩვენებლები აღებულია იმავე წლის ღია მონაცემების მზაობის კვლევის (Open Data Maturity - ODM) შედეგების მიხედვით.

ღია მონაცემების მზაობის 2021 წლის შეფასების თანახმად,<sup>18</sup> 34 შესწავლილ ქვეყანას შორის საქართველომ ODM-ის ოთხივე კომპონენტში ბოლო ადგილი დაიკავა და ე.წ. დამწყების (Beginner) სტატუსი მიენიჭა. აღნიშნული ფორმულით მიღებული შედეგების მიხედვით, დამწყებ (Beginner) საფეხურზე მყოფი ქვეყნების ღია მონაცემების ბაზრის ზომა შეადგენს 0.89%-ს.

<sup>17</sup> E. Huyer et. al, "The Economic Impact of Open Data Opportunities for Value Creation in Europe", European Data Portal, იანვარი 2020, გვ. 22. ხელმისაწვდომია: <https://data.europa.eu/sites/default/files/the-economic-impact-of-open-data.pdf>

<sup>18</sup> საქართველოს შემთხვევაში ეს წარმოადგენს ბოლო შედეგებს, რადგან ღია მონაცემების მზაობის 2022 და 2023 წლების შეფასებაში საქართველომ მონაწილეობა არ მიიღო

$$\frac{n(\text{Trendsetters})X+n(\text{Fast-trackers})(0.8X)+n(\text{Followers})(0.64X) + n(\text{Beginners})(0.51X)}{n(\text{Trendsetters}) + n(\text{Fast-trackers})+n(\text{Followers})+n(\text{Beginners})} = 1,19\%$$

დამწყების ბაზრის ზომის % = 0.51x

დამწყების ბაზრის ზომა = **0.89%**

ორი განსხვავებული მეთოდით მიღებულ შედეგებს შორის (მეთოდი 1 - 0.91%, მეთოდი 2 - 0.89%) უმნიშვნელო განსხვავებაა, რაც საქართველოს ღია მონაცემთა ბაზრის ზომის დასადგენად აღნიშნული მაჩვენებლების გამოყენებას მეტ ლეგიტიმაციას აძლევს. საქართველოს მშპ-ში ღია მონაცემების ბაზრის წილის საბოლოო მაჩვენებლად აღებულია ორი განსხვავებული მეთოდით მიღებული შედეგის საშუალო - 0.9%.

#### გამოთვლები საქართველოსთვის

საქართველოს მშპ-ს გათვალისწინებით, საქართველოს ღია მონაცემების ბაზარი, 2022 წლის მდგომარეობით, შეადგენს 655.7 მილიონ ლარს. ხოლო 2023 წლის მოსალოდნელი მშპ-ს გათვალისწინებით, 714.2 მილიონ ლარს.

## ღია მონაცემების პირდაპირი და არაპირდაპირი ბაზრის ზომის დადგენა და საქართველოს შედეგები

მთლიან შიდა პროდუქტში ღია მონაცემების მთლიანი ბაზრის ზომის წილის განსაზღვრა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ღია მონაცემების პირდაპირი და არაპირდაპირი ბაზრის ზომები. ღია მონაცემების პირდაპირი ბაზრის ზომა წარმოადგენს ღია მონაცემებით მიღებულ პირდაპირ ფულად სარგებელს, რომელიც საბაზრო ოპერაციებში რეალიზდება შემოსავლების, დამატებული ღირებულების (GVA) სახით და ახალი სამუშაო ადგილების პოტენციალის ზრდით. არაპირდაპირი ბაზრის ზომა წარმოადგენს ღია მონაცემების სარგებელს, რომელიც დაკავშირებულია ღია მონაცემებით შექმნილი აპლიკაციებით მომხმარებლის დაზოგილ დროსთან, საჯარო სერვისების და ღია მონაცემებთან დაკავშირებული ბაზრების ეფექტურობის ზრდასთან და სხვა.

ღია მონაცემების პირდაპირი და არაპირდაპირი ბაზრის ზომის დადგენა შესაძლებელია Vickery (2011) და Shakespeare (2013)<sup>19</sup> კვლევებით დადგენილი პროპორციების მიხედვით. კერძოდ, Vickery-ის მიხედვით, პროპორცია პირდაპირ ბაზარსა და მთლიან ბაზარს შორის შეადგენს 3.5-ს, ხოლო Shakespeare-ის მიხედვით 3.78-ს. ევროკავშირის ქვეყნების პირდაპირი და არაპირდაპირი ბაზრის ზომების პროპორციის დასადგენად, გამოყენებულია Vickery და Shakespeare კვლევებით დადგენილი პროპორციების საშუალო მაჩვენებელი - **3.64**. ევროკავშირის ქვეყნებისთვის ღია მონაცემების პირდაპირი და არაპირდაპირი ბაზრის საზომი ერთი და იგივე პროპორციები გამოიყენება ამ ქვეყნებში ღია მონაცემების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ღია მონაცემების პირდაპირ და არაპირდაპირ გავლენას შორის განსხვავებები განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მნიშვნელოვნად არ იცვლება და ამ კოეფიციენტის საქართველოს მაგალითზე გამოყენება რელევანტურია.

### გამოთვლები საქართველოსთვის

თუ დავუშვებთ, რომ საქართველოს ღია მონაცემების მთლიანი ბაზარი 2022 წლის მდგომარეობით შეადგენს 655.7 მილიონ ლარს, მაშინ ღია მონაცემების პირდაპირი ბაზრის ზომა იქნება 141.3 მილიონი ლარი, ხოლო არაპირდაპირი ბაზრის ზომა 514.4 მილიონი ლარი.

2023 წლის მოსალოდნელი მშპ-ს გათვალისწინებით, ღია მონაცემების პირდაპირი ბაზრის ზომა იქნება 153.9 მილიონი ლარი, ხოლო არაპირდაპირი ბაზრის ზომა 560.3 მილიონი ლარი.

<sup>19</sup> S. Shakespeare, "Shakespeare Review: An Independent Review of Public Sector Information". მაისი 2013. ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/sxEG5>

## ღია მონაცემებით შექმნილი სამუშაო ადგილების გამოთვლა და საქართველოს შედეგები

ევროკავშირის ქვეყნებში ღია მონაცემებით დასაქმების მაჩვენებლების განსასაზღვრად, საწყის მაჩვენებლად გამოყენებულია ერთ-ერთი კვლევის შედეგები,<sup>20</sup> რომელიც აფასებს 2017 წლის მდგომარეობით ესპანეთში ღია მონაცემებით პირდაპირი დასაქმების მაჩვენებელს (ASEDIE, 2019). კვლევის მიხედვით შეფასებულია ის კომპანიები, რომლებიც პროდუქტის ან მომსახურების დამატებული ღირებულების შესაქმნელად განმეორებით იყენებენ საჯარო ან/და კერძო სექტორის მონაცემებს. ამ კვლევის მიხედვით დადგინდა, რომ ესპანეთში ღია მონაცემებით პირდაპირი დასაქმების მაჩვენებელი არის 0.11%. ამ მონაცემის ევროკავშირის სხვა ქვეყნებზე განსაზოგადებლად მოცემულია დაშვება, რომ ღია მონაცემთა მზაობის დაბალ საფეხურზე მყოფ ქვეყანაში ღია მონაცემების ბაზარზე დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი 20%-ით ჩამორჩება ზემდგომ საფეხურზე მყოფ ქვეყანაში დასაქმების მაჩვენებელს. ესპანეთი იმყოფებოდა ღია მონაცემების მზაობის ყველაზე მაღალ საფეხურზე და დასაქმების 0.11%-იანი მაჩვენებელი შესაბამისობაში იყო ე.წ. ტენდენციის განმსაზღვრელთა (Trend-setters) ჯგუფს მიკუთვნებული ქვეყნებისთვის. 20%-იანი კლების გათვალისწინებით, ყველაზე დაბალ საფეხურზე (Beginners) მყოფი ქვეყნებისთვის ღია მონაცემებით პირდაპირი დასაქმების მაჩვენებელია 0.06%. ღია მონაცემების მზაობის 2021 წლის შეფასების თანახმად,<sup>21</sup> 34 შესწავლილ ქვეყანას შორის საქართველომ ODM-ის ოთხივე კომპონენტში ბოლო ადგილი დაიკავა და ე.წ. დამწყების (Beginner) სტატუსი მიენიჭა. შესაბამისად, საქართველოში ღია მონაცემებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა გამოითვლება ყველაზე დაბალ საფეხურზე (Beginners) მყოფი ქვეყნებისთვის დადგენილი პროცენტული მაჩვენებლის (0.06%) მიხედვით.

<sup>20</sup> "Infomediary Sector 2019", ASEDIE. ხელმისაწვდომია: <https://data.europa.eu/en/news-events/news/asedie-publishes-annual-infomediary-sector-report>

<sup>21</sup> საქართველოს შემთხვევაში ეს წარმოადგენს ბოლო შედეგებს, რადგან ღია მონაცემების მზაობის 2022 და 2023 წლების შეფასებაში საქართველომ მონაწილეობა არ მიიღო

ღია მონაცემების მზარდობის კლასტერი	ღია მონაცემების დასაქმების წილი	მაგალითი
ტენდენციის განმსაზღვრელი (TRENDSETTERS)	0.11%	ირლანდია, ესპანეთი
სწრაფად მზარდი (FAST-TRACKERS)	0.09%	კვიპროსი, კოლონეთი
მიმდევარი (FOLLOWERS)	0.07%	ესტონეთი, ლიეტუვა
დამწყები (BEGINNERS)	0.06%	ლიხტენშტაინი

წყარო: European Data Portal (2020)

### გამოთვლები საქართველოსთვის

საქართველოში დასაქმებულთა რაოდენობის (საქსტატის მონაცემებით, 2022 წელს საქართველოში დასაქმებული იყო 1.28 მილიონი პირი, ხოლო 2023 წელს 1.33 მილიონი პირი) გათვალისწინებით, **2022 წელს ღია მონაცემებით პირდაპირ დასაქმებული იყო დაახლოებით 770 პირი, ხოლო 2023 წელს 800 პირი.**

ღია მონაცემების ბაზრის ზომის მსგავსად, ღია მონაცემებით პირდაპირი და ირიბი დასაქმების მაჩვენებლების პროპორციის საზომად აღებულია Vickery (2011) და Shakespeare (2013) კვლევების მიხედვით დადგენილი 3.64 კოეფიციენტი. შესაბამისად, **2022 წლის მდგომარეობით, საქართველოში ღია მონაცემებით ირიბად შექმნილი იყო დაახლოებით 2,802 სამუშაო ადგილი, ხოლო 2023 წელს - 2,912 სამუშაო ადგილი.**



## საქართველოს ღია მონაცემების ბაზრის განვითარების სცენარები

ღია მონაცემთა ბაზრის ზომაზე დაყრდნობით, საერთაშორისო პრაქტიკა იცნობს ბაზრის ზომის ზრდის გამოთვლის სხვადასხვა სცენარებს. ევროპის მონაცემთა პორტალის მიერ ჩატარებულ კვლევაში (European Data Portal, 2020) წარმოდგენილია ღია მონაცემების ბაზრის ზრდის საბაზისო და ოპტიმისტური სცენარები. საბაზისო სცენარი აკეთებს დათქმას, რომ ღია მონაცემების ბაზრის ზომა იზრდება იმავე ტემპით როგორც რეალური მშპ.

ღია მონაცემთა ბაზრის ზომის ზრდის პროგნოზირებისას, ცალკეული კვლევები იყენებენ ზრდის უფრო მაღალ ტემპებს, ვიდრე მშპ-ს ზრდა. თუმცა, გასული წლების გამოთვლები არ მონშობს ღია მონაცემების ბაზრის მშპ-ზე მეტად ზრდის პოტენციალს. მონაცემთა საერთაშორისო კორპორაცია (IDC, 2019) ვარაუდობს ზრდის ტემპის სამ სცენარს, რომელიც მერყეობს 4%-დან 16%-მდე.<sup>22</sup> სცენარი განსხვავებულია ქვეყნების ღია მონაცემთა ზრდის პოტენციალის მიხედვით. პოტენციალის შესაფასებლად გამოიყენება ღია მონაცემების მზაობის მაჩვენებლები და მისი ზრდის ტემპი. ქვეყნები კლასიფიცირდება დაბალი (ზრდის პროგნოზი 4.3%), საშუალო (7.5%) და მაღალი ზრდის (15.7%) შესაძლებლობის მქონე ქვეყნებად. ამასთან, ღია მონაცემების მზაობის ინდექსის (2021) მიხედვით, საქართველო კლასიფიცირდება დაბალი ზრდის შესაძლებლობის მქონე<sup>23</sup> ქვეყნების რიგში, რომელთათვის განსაზღვრულია ზრდის 4.3%-იანი მაჩვენებელი.

საქართველოს შემთხვევაში ეს მაჩვენებელი ჩამორჩება მშპ-ს ზრდის დაგეგმილ მაჩვენებელს, შესაბამისად, ნაკლებად გამოდგება ოპტიმისტური სცენარის პროგნოზისთვის. მაგალითად, 2024 წელს საქართველოს რეალური მშპ-ს ზრდა დაგეგმილია 5.2%-ით, ხოლო შემდეგ წლებში 5%-ით.

<sup>22</sup> E. Huyer et. al, "The Economic Impact of Open Data Opportunities for Value Creation in Europe", European Data Portal, იანვარი 2020, გვ. 26. ხელმისაწვდომია: <https://data.europa.eu/sites/default/files/the-economic-impact-of-open-data.pdf>

<sup>23</sup> საქართველო კლასიფიცირდება, როგორც დაბალი ზრდისა და 60-ზე ნაკლები მზაობის მაჩვენებლის მქონე ქვეყანა - Low-growth country with a maturity below 60

**საქართველოს ღია მონაცემების ბაზრის ზომის  
ზრდის პროგნოზი - საბაზისო სცენარი**

	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030
<b>რეალური მშპ (ზრდის ტემპი %)</b>	6.5	5.2	5.0	5.0	5.0	5.0	5.0	5.0
<b>ღია მონაცემების ბაზრის ზომა (მილიონი ლარი)</b>	714.2	751.3	788.9	828.4	869.8	913.3	958.9	1,006.9

**წყარო:** IDFI-ის გამოთვლები

ღია მონაცემების მზაობის საფეხურების მიხედვით დადგენილი პროცენტული ზრდის მაჩვენებლების გათვალისწინებით, შესაძლებელია ღია მონაცემების ბაზრის განვითარების პოზიტიური სცენარების წარმოდგენა. კერძოდ, პოზიტიური სცენარები ასახავს დროის სხვადასხვა მომენტში მაღალი ზრდის შესაძლებლობის საფეხურზე დანიშნულებით მოსალოდნელი ბაზრის ზრდის შედეგებს.


**გამოთვლები საქართველოსთვის**

საქართველოს ღია მონაცემების ბაზრის განვითარების საბაზისო სცენარის მიხედვით, **2030 წლის მდგომარეობით, ღია მონაცემების ბაზრის ზომა** იქნება 1 მილიარდი ლარი, საშუალო პროგრესის პირობებში 1.2 მილიარდი ლარი, **ხოლო მაღალი პროგრესის პირობებში 1.4 მილიარდი ლარი.**

**საქართველოს ღია მონაცემების ბაზრის ზომის ზრდა**

	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030
<b>საბაზისო სცენარი</b>	5.2%	5%	5%	5%	5%	5%	5%
<b>საშუალო პროგრესი</b>	5.2%	5%	7.5%	7.5%	7.5%	7.5%	15.7%
<b>მაღალი პროგრესი</b>	5.2%	7.5%	7.5%	7.5%	15.7%	15.7%	15.7%

**წყარო:** IDFI-ის გამოთვლები




**წყარო:** IDFI-ის გამოთვლები

ღია მონაცემების ბაზრის განვითარების სცენარების მსგავსად, საერთაშორისო პრაქტიკა ასევე იცნობს ღია მონაცემებით დასაქმების ზრდის სცენარებს. ევროპის მონაცემთა პორტალის მიერ ჩატარებულ კვლევაში (European Data Portal, 2020) წარმოდგენილია ღია მონაცემებით დასაქმების ზრდის საბაზისო და ოპტიმისტური სცენარები. საბაზისო სცენარი აკეთებს დათქმას, რომ ღია მონაცემებით დასაქმება იზრდება იმავე ტემპით, როგორც ქვეყანაში საერთო დასაქმების მაჩვენებელი. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ბოლო წლების მაჩვენებლების გათვალისწინებით, კვლევის მიზნებისთვის დასაქმების ზრდის მოსალოდნელი ტემპი განისაზღვრა 1%-ით. ოპტიმისტური ზრდის სცენარებისას გამოყენებულია იგივე პროცენტული მაჩვენებლები, რაც ღია მონაცემების ბაზრის ზომის ზრდის სცენარებისთვის. შესაბამისად, ოპტიმისტური სცენარები განხილულია იმ დაშვებით, რომ თანამშრომლის მიერ შექმნილი პროდუქტის ღირებულება წლების მიხედვით სტაბილურია.

**გამოთვლები საქართველოსთვის**

ღია მონაცემებით დასაქმების **საბაზისო სცენარის** მიხედვით, 2030 წლამდე საქართველოში შეიქმნება დამატებით 268 სამუშაო ადგილი. **ოპტიმისტური სცენარების** გათვალისწინებით, საშუალო პროგრესის პირობებში, ღია მონაცემებით დამატებით დასაქმდება 2,623 პირი, ხოლო მაღალი პროგრესის პირობებში დასაქმდება 3,802 პირი.



**წყარო:** IDFI-ის გამოთვლები

# ღია მონაცემების გამოყენების კუთხით მაღალი გავლენისა და პოტენციალის მქონე სექტორების გამოვლენა

ქვეყნის კეთილდღეობის ზრდაში ღია მონაცემების გავლენის შესაფასებლად, სხვადასხვა ეკონომიკური სექტორის პოტენციალის განსაზღვრა გვეხმარება. საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, მათი დაყოფა მაღალი გავლენის მქონე და მაღალი პოტენციალის მქონე სექტორებად შეგვიძლია.

საქართველოს მაგალითზე, ეკონომიკური სექტორების (NACE) მიხედვით ღია მონაცემების პოტენციალი შეფასდა ევროკავშირის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით. ხსენებული მეთოდოლოგიის მიხედვით, მაღალი გავლენის და მაღალი პოტენციალის მქონე სექტორების იდენტიფიცირება ხდება სამი სხვადასხვა ინდიკატორის მიხედვით - ა) გაციფრულების დონე, ბ) ღია მონაცემთა მიწოდების შესაძლებლობა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, და გ) პოტენციალის ეკონომიკური გავლენა. თითოეული სექტორი აღნიშნული სამი ინდიკატორის მიხედვით ფასდება 1 დან 3 ქულამდე. შეფასებისთვის კი გამოყენებულია სხვადასხვა კვლევების მონაცემები (Price Waterhouse Coopers (2011); Harvard Business Review (2016); McKinsey (2015); Digital Marketing Institute (2018)) და ექსპერტთა მოსაზრებები. ვინაიდან აღნიშნული კვლევები ძირითად შემთხვევაში არ შეიცავს საქართველოზე რელევანტურ ინფორმაციას, ხსენებული სამი ინდიკატორის მიხედვით, საქართველოს სექტორული შეფასება დაეფუძნა შემდეგ მონაცემებს:

## ა) გაციფრულების დონე

კომპანიების გაციფრულების დონის განსაზღვრად, გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) ინფორმაცია, რომელიც ასახავს 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საწარმოებში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებულ სტატისტიკურ მონაცემებს. აღნიშნული მონაცემები სამსახურის ვებგვერდზე სექტორული დაყოფით არ არის წარმოდგენილი. შესაბამისად, საქსტატში გაიგზავნა შესაბამისი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა. საქსტატმა IDFI-ს მოანოდა „საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში“ გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს 4,709 საწარმოს გამოკითხვის პირველად მონაცემებს. სამწუხაროდ, აღნიშნული ბაზა არ ფარავს ყველა სექტორში შემავალ კომპანიებს. მაგალითად, საქსტატის გამოკითხვა არ ჩატარებულა 7 სხვადასხვა ეკონომიკური სექტორის (NACE) კომპანიებში. მათ შორის: სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა, სამთომოპოვებითი მრეწველობა, სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება, განათლება, ჯანდაცვა და

სოციალური მომსახურების საქმიანობები, ხელოვნება გართობა და დასვენება, შინამეურნეობების როგორც დამქირავებლის საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის. შესაბამისად, საქსტატიდან მიღებული ბაზის მიხედვით, კომპანიების გაციფრულების დონე შეფასდა 13 სექტორის მიხედვით.

კომპანიების გაციფრულების დონის შესაფასებლად გამოყენებული იქნა შემდეგი მახასიათებლები:

● **ინტარნეტთან ფიქსირებული კავშირი**

კრიტერიუმი აფასებს სექტორების მიხედვით საწარმოთა წილს, რომლებსაც ჰქონდათ ინტერნეტზე წვდომა, ინტერნეტთან ფიქსირებული კავშირის (DSL კავშირი (ADSL, SDSL, VDSL), ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგია (FTTP), საკაბელო ტექნოლოგიები და ა.შ) საშუალებით.

● **ვებგვერდის გამოყენება**

კრიტერიუმი აფასებს საწარმოთა წილს, რომელთაც ჰქონდათ ვებგვერდი.

● **გაყიდვები ვებგვერდით ან აპლიკაციით**

კრიტერიუმი აფასებს საწარმოთა წილს, რომლებსაც საანგარიშო პერიოდში ჰქონდათ საქონლის/მომსახურების გაყიდვები ვებგვერდით ან აპლიკაციით.

● **ERP პროგრამულ უზრუნველყოფის გამოყენება**

კრიტერიუმი აფასებს საწარმოთა წილს, რომლებიც იყენებენ ERP პროგრამულ უზრუნველყოფას. ERP (საწარმოს რესურსების დაგეგმვა) - ეს არის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელსაც საწარმოები იყენებენ ყოველდღიური ბიზნეს საქმიანობის სამართავად, როგორცაა ბუღალტრული აღრიცხვა, შესყიდვები, პროექტის მენეჯმენტი, რისკისა და რესურსების მართვა და ა.შ. ERP პროგრამული უზრუნველყოფა შეიძლება იყოს მზა პროგრამული უზრუნველყოფა, საწარმოს საჭიროებების მიხედვით შექმნილი ან საწარმოს მიერ დამოუკიდებლად შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფა. მაგალითებია SAP, ORACLE, Microsoft Dynamics AX, Microsoft Dynamics NAV, JD Edwards.

● **CRM-ს გამოყენება მონაცემთა შესაგროვებლად**

კრიტერიუმი აფასებს საწარმოთა წილს, რომლებიც იყენებენ CRM-ს მონაცემთა შესაგროვებლად. CRM (მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტი) არის პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის საშუალებით შესაძლებელია მომხმარებლების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, შენახვა და სხვადასხვა ბიზნეს ფუნქციისთვის გამოყენება.

აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით, მონაცემთა ბაზის სტატისტიკური ანალიზის შედეგად, განისაზღვრა სექტორების გაციფრულების დონე და შესაბამისად, მიენიჭება 1-დან 3 ქულამდე. სექტორების მიხედვით 1-დან 3 ქულამდე მინიჭება განხორციელდა, კრიტერიუმების საშუალო პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით. კერძოდ, იმ სექტორებს, სადაც გაციფრულების დონე შეადგენდა 20%-ზე ნაკლებს მიენიჭა 1 ქულა, 20% დან-40%-მდე -2 ქულა, ხოლო 40% და მეტს - სამი ქულა. **40% და მაღალი შეფასება მიიღო მხოლოდ ორმა სექტორმა: საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები - 46%, და ინფორმაცია და კომუნიკაცია - 40%.**

კომპანიების გაციფრულების დონე სექტორების მიხედვით							
		ინფორმაციის ფიქსირებული კაპიტი	ვაიბეარლის შრე	მაყიფები ვიპ სანიტი ან აკლამაციით	ERP პროგრამულ უზრუნველყოფის გამოყენება	CRM-ს გამოყენება მონაცემთა შესაბამისად	საშუალო
C	დამამუშავებელი მრეწველობა	79%	30%	4%	20%	6%	28%
D	ელექტროენერჯის კირის ორთქლის და კონდიციონერული კაპის მინოფაბა	87%	38%	0%	40%	17%	37%
E	სალომარაგება; კანალოზაცია ნარჩენების მართვა და დაინჟინერინგის მასუფთავების საქმიანობები	91%	28%	3%	22%	9%	31%
F	მშენებლობა	70%	23%	3%	13%	5%	23%
G	საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოსპორტის რემონტი	70%	22%	7%	19%	8%	25%
H	ტრანსპორტი და დასაცობა	69%	25%	2%	18%	8%	25%
I	განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და სავაჭრო მინოფაბის საქმიანობები	76%	35%	17%	25%	13%	33%
J	ინფორმაცია და კომუნიკაცია	88%	50%	10%	30%	16%	40%
K	საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	90%	61%	13%	32%	34%	46%
L	შპს კონსტრუქციის დაკავშირებული საქმიანობები	62%	13%	1%	8%	3%	18%
M	პროფესიული საქმიანობა და ტექნიკური საქმიანობები	79%	32%	1%	18%	12%	28%
N	აღმოსავლური და დასავლური მომსახურების საქმიანობები	76%	31%	8%	16%	3%	27%
S	სხვა სხვის მომსახურება	69%	23%	8%	23%	23%	29%

**წყარო:** საქსტატი

**ბ) ღია მონაცემთა მინოდების შესაძლებლობა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად**

ღია მონაცემების მინოდების შესაძლებლობის განსაზღვრად, შესწავლილ იქნა სექტორების მიხედვით, დღეის მდგომარეობით, ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზები. კერძოდ, კვლევის მიზნებისთვის, შესწავლილი იქნა საჯარო სექტორში დაცული და საჯაროდ ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზები. ქვეყანაში ღია მონაცემების, მათ შორის კერძო სექტორის მონაცემების, ძირითად შემგროვებელს წარმოადგენს საჯარო სექტორი. შესაბამისად, საჯარო სექტორის მიერ ღია მონაცემების სტრუქტურირებული სახით დამუშავების და მინოდების მეტი შესაძლებლობა და პასუხისმგებლობა აქვს.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა ისეთი ელექტრონული რესურსები, სადაც პოტენციურად ყველაზე მეტი მონაცემთა ბაზები უნდა ყოფილიყო ხელმისაწვდომი. მათ შორის, ღია მონაცემების პორტალი (data.gov.ge), ერთიანი სახელმწიფო რეესტრის ვებგვერდი და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდი. სულ დეტალურად შესწავლილ იქნა ამ სამ პორტალზე გამოქვეყნებული 1,000 სხვადასხვა მონაცემთა ბაზა. სექტორების მიხედვით, ღია მონაცემთა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მიწოდების შესაძლებლობის შესაფასებლად, თითოეულ იდენტიფიცირებული ბაზის მიხედვით შეფასდა რომელ სექტორს მიეკუთვნება კონკრეტული მონაცემთა ბაზა, რამდენად ღია ფორმატშია წარმოდგენილი, რამდენად განახლებადია და რამდენად სრულყოფილია (აქვს თუ არა ბაზას მეტამონაცემები). ვინაიდან მონაცემთა ბაზები განთავსებული იყო ერთსა და იმავე პორტალზე, მათი განთავსების მახასიათებლები ძირითად შემთხვევაში იყო მსგავსი. მაგალითად, საქსტატის ვებგვერდზე განთავსებული თითოეული მონაცემთა ბაზა არის განახლებადი და მითითებული აქვს მეტამონაცემი. აღნიშნული მოცემულობა არ იცვლება სექტორების მიხედვით განსხვავებულ ბაზებზე, შესაბამისად, მისი გავლენა შეფასებაზე თანაბრად აისახება ყველა სექტორზე. ამ მოცემულობის გათვალისწინებით, ღია მონაცემთა მიწოდების შესაძლებლობის ქულებზე გავლენა იქონია მხოლოდ სექტორების მიხედვით გამოქვეყნებული ბაზების, მათ შორის ღია მანქანად-კითხვად ფორმატში გამოქვეყნებული ბაზების რაოდენობრივმა მაჩვენებლებმა.

ქულების მინიჭება განხორციელდა საერთო და ღია ფორმატში ხელმისაწვდომ ბაზებში კონკრეტული სექტორის პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ერთი კონკრეტული ბაზა მისი შინაარსით მიემართებოდა ორ ან მეტ სხვადასხვა სექტორზე. შესაბამისად, პროცენტული მაჩვენებლების ჯამი სცდება 100%-ს.

ღია მონაცემების ფორმატში გამოქვეყნებული მონაცემთა ბაზების სიმწირის გათვალისწინებით, **მაქსიმალური შეფასება (3 ქულა) მიიღეს საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების საქტორმა, განათლების საქტორმა და სახელმწიფო მმართველობის საქტორმა.**



## საქართველო ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზები სექტორების მიხედვით

	კაოდრი	%-ული წილი ტელეკომუნიკაციების სექტორში	ფორმები გამოყენებადი ბაზები	%-ული წილი ღია მონაცემების ფორმატი გამოყენებადი ბაზებში	საბაზო ელვა	
A	სოფლის საფარი და თავისი მონაცემთა	329	33%	3	2%	17%
B	სამთრობო-საფარი მონაცემთა	206	21%	1	1%	11%
C	დაბაზა-საფარი მონაცემთა	196	20%	1	1%	10%
D	უღებო-საფარი ბიზნის ორთქლის და კონფიდენციალური კაბრის მონაცემთა	203	20%	1	1%	10%
E	წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების გაწმენდა და დამუშავების საფარი	187	19%	2	1%	10%
F	მონაცემთა	190	19%	3	2%	10%
G	საბითუმო და საბაზო გაყვანილობა; ავტომობილების და მობილური ტელეკომუნიკაციების მონაცემთა	175	18%	1	1%	9%
H	ტრანსპორტი და სასაწყობო	176	18%	1	1%	9%
I	მონაცემთა საფარი-საფარი უზრუნველყოფის და საკაბრის მონაცემთა საფარი	167	17%	1	1%	9%
J	ინფორმაცია და კომუნიკაცია	197	20%	5	3%	11%
K	საფინანსო და საბაზო-საფარი საფარი	237	24%	49	31%	27%
L	შპს-ს მონაცემთა და კომუნიკაციის საფარი	174	17%	1	1%	9%
M	პროფესიული საფარი-საფარი და მონაცემთა საფარი	173	17%	15	10%	13%
N	აღმნიშვნელოვანი და საბაზო-საფარი საფარი	199	20%	25	16%	18%
O	სახელმწიფო მონაცემთა და მონაცემთა; საბაზო-საფარი მონაცემთა	241	24%	39	25%	24%
P	მონაცემთა	263	26%	33	21%	24%
Q	მონაცემთა და მონაცემთა მონაცემთა საფარი	315	32%	11	7%	19%
R	ხელმწიფო მონაცემთა და მონაცემთა	230	23%	2	1%	12%
S	სხვა სახის მონაცემთა	175	18%	1	1%	9%
T	მონაცემთა-საფარი მონაცემთა საფარი; არაფორმალური მონაცემთა საფარი და მონაცემთა მონაცემთა მონაცემთა მონაცემთა	232	23%	1	1%	12%

**წყარო:** IDFI-ის გამოთვლები

### ბ) პოტენციალის ეკონომიკური გავლენა

ღია მონაცემების პოტენციალზე ეკონომიკური გავლენის შესაფასებლად, გამოიყენება დღეის მდგომარეობით, კონკრეტული სექტორის ეკონომიკური განვითარების და მასში ღია მონაცემების ბაზრის ზომის მაჩვენებლები. შეფასება 1-დან 3 ქულამდე განხორციელდა იმის გათვალისწინებით, თუ რა მოცულობის ღია მონაცემების ბაზრის ზომას ქმნის სხვადასხვა მშპ-ს მქონე სექტორი. კერძოდ, შეფასება განხორციელდა იმ დაშვებით, რომ რაც უფრო მაღალია კონკრეტული სექტორის მშპ და ღია მონაცემების ბაზრის ზომაში კონკრეტული სექტორის წონა, მით უფრო მაღალია პოტენციალის ეკონომიკური გავლენა.

შეფასებაში გამოყენებულ იქნა ევროკავშირის კვლევის მიხედვით ღია მონაცემების ბაზრის ზომაში დადგენილი თითოეული სექტორის წონები. აღნიშნული სექტორული წონების საქართველოს რეალობასთან თანხვედრაში მოსაყვანად, ქვეყნის წონები განისაზღვრა კონკრეტული სექტორის საქართველოს და ევროკავშირის მთლიან შიდა პროდუქტში წილის პროპორციული დაანგარიშებით.

ევროკავშირის კვლევის მიხედვით, სექტორები შინაარსობრივად გადანაწილებულია 10 მსხვილ სექტორში და აღნიშნული ჯგუფების მიხედვით განსაზღვრულია წონები ღია მონაცემების ბაზრის ზომაში. მაგალითად, მრეწველობის სექტორი აერთიანებს სამთომოპოვებითი და დამამუშავებელი მრეწველობის სექტორებს. ვაჭრობა და ტრანსპორტი აერთიანებს სამ სექტორს: 1) საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი, 2) ტრანსპორტი და დასაწყობება, 3) განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები.

კვლევის მეთოდოლოგიის სიზუსტის უზრუნველსაყოფად, საქართველოს მაგალითზეც ღია მონაცემების ბაზრის ზომაში სექტორების წონა დაანგარიშებულია ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული სექტორული დაყოფის მიხედვით. აღნიშნული კალკულაციის მიხედვით, **ყველაზე დიდი წონა (25.8%) ღია მონაცემების ბაზრის ზომაში აქვს სახელმწიფო მმართველობის საქმეებს.**

<b>სექტორების წონა ღია მონაცემების ბაზრის ზომაში</b>	
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	2%
მრეწველობა	11.3%
მშენებლობა	6.2%
ვაჭრობა და ტრანსპორტი	19%
ინფორმაცია და კომუნიკაცია	8.7%
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	10.1%
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	12.5%
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	3.4%
სახელმწიფო მმართველობა	25.8%
ხელოვნება, გართობა და სხვა	1%

**წყარო:** IDFI-ის გამოთვლები

# ღია მონაცემების გამოყენების კუთხით მაღალი გავლენისა და პოტენციალის მქონე საქტორები საქართველოში



დადგენილი ინდიკატორების მიხედვით, ღია მონაცემთა გავლენისა და პოტენციალის სექტორული შეფასების შედეგები ასახულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში. კომპანიების გაციფრულების დონისა და პოტენციალის ეკონომიკური გავლენის შეფასებასთან დაკავშირებული გარემოებების (მაგ. კომპანიების გაციფრულების დონე არ ფარავდა ყველა სექტორს, სექტორების წონის დადგენა ღია მონაცემების ბაზრის ზომაში შესაძლებელი იყო დაჯგუფებული სექტორების მიხედვით) გათვალისწინებით, წარმოდგენილია დაჯგუფებული სექტორების მიხედვით საბოლოო შეფასებები.

სამივე კრიტერიუმის დაჯამებული მონაცემების მიხედვით, **ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების სექტორმა**. სახელმწიფო მმართველობის სექტორი შეფასდა ორი კრიტერიუმის მიხედვით, ვინაიდან ამ სექტორის გაციფრულების დონის შესაფასებლად საჭირო მონაცემები არ იყო ხელმისაწვდომი. იმ დაშვებითაც, რომ გაციფრულების დონის თვალსაზრისით ეს სექტორი მიიღებდა მინიმალურ შეფასებას, მაინც მოხვდებოდა ყველაზე მაღალი გავლენისა და პოტენციალის მქონე სექტორებს შორის. შესაბამისად, **საქართველოზე ადაპტირებულმა მეთოდოლოგიამ საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები, სახელმწიფო მმართველობა, და ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორები გამოავლინა ღია მონაცემებზე ყველაზე მაღალი პოტენციალის და გავლენის მქონე სექტორებად, საშუალო პოტენციალისა და გავლენის მქონე სექტორებად კი ვაჭრობა, ტრანსპორტი და მრეწველობა**.

<b>ღია მონაცემთა კოტენციალის შეფასება საქართვების (NACE) მიხედვით</b>	<b>ა</b>	<b>ბ</b>	<b>გ</b>	<b>ჯამი</b>
<b>მაღალი გავდენისა და პოტენციალის მქონე სექტორები</b>				
სასაფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	3	3	2	<b>8</b>
სახელმწიფო მმართველობა	-	3	3	<b>6</b>
ინფორმაცია და კომუნიკაცია	3	2	1	<b>6</b>
<b>საშუალო გავდენისა და პოტენციალის მქონე სექტორები</b>				
ვაჭრობა და ტრანსპორტი	2	1	2	<b>5</b>
მრეწველობა	2	1	2	<b>5</b>
<b>დაბალი გავდენისა და პოტენციალის მქონე სექტორები</b>				
მშენებლობა	2	1	1	<b>4</b>
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	1	1	2	<b>4</b>
კროფებისული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	2	2	1	<b>4</b>
ხელოვნება, გართობა, დასვენება და სხვა მომსახურებები	2	1	1	<b>4</b>
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	-	1	2	<b>3</b>

**წყარო:** IDFI-ის გამოთვლები

# საქართველოში მოქმედი კომპანიების საჭიროებები და მოსაზრებები ღია მონაცემების ეკონომიკური პოტენციალის შესახებ - გამოკითხვის შედეგები

კერძო კომპანიების მიერ ღია სამთავრობო მონაცემების გამოყენების თვალსაზრისით არსებული საჭიროებების, შესაძლებლობების და პოტენციალის გამოვლენის მიზნით, IDFI-მ დამატებით ჩაატარა ონლაინ გამოკითხვა და ფოკუს ჯგუფ შეხვედრები. შესაბამისად, კერძო სექტორის საჭიროებების გასარკვევად გამოყენებულ იქნა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის კომბინირებულ მონაცემთა შეგროვების მეთოდები. კვლევა დაეყრდნო მსოფლიო ბანკის ღია მონაცემების მზაობის შეფასებისა (ODRA)<sup>24</sup> და ევროპის ღია მონაცემების პორტალის ღია მონაცემების ხელახალი გამოყენების კვლევის<sup>25</sup> მეთოდოლოგიას და მოხდა საქართველოს კონტექსტზე ადაპტაცია.

რაოდენობრივი კვლევის სამიზნე ჯგუფად შეირჩა IDFI-ის მიერ გამოვლენილი მაღალი გავლენისა და პოტენციალის მქონე სექტორები და მომზადდა 25 კითხვისგან შემდგარი ონლაინ კითხვარი, რომელიც ღია მონაცემებთან დაკავშირებით კერძო კომპანიების დამოკიდებულებებს შემდეგი მიმართულებების აგროვებდა:

ა) კერძო სექტორის შესაძლებლობები; ბ) მაღალი ღირებულების მონაცემები; გ) ბარიერები მონაცემების გამოყენებისას; დ) ჩართულობა და თანამშრომლობა.

კერძო კომპანიების მხრიდან ონლაინ კითხვარის შევსებაში მაღალი მონაწილეობის მიზნით, მკვლევართა ჯგუფმა კომუნიკაციის სხვადასხვა გზით 7,000-მდე კომპანიას გაუგზავნა კითხვარი. კითხვარის ონლაინ გავრცელებისა და ინდივიდუალური ონლაინ ინტერვიუების ჩატარების შედეგად, საბოლოო ჯამში, 100-მა კომპანიამ მიიღო გამოკითხვაში მონაწილეობა. გარდა ამისა, 40-მდე კომპანიის წარმომადგენლებმა ონლაინ ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფ შეხვედრების საშუალებით მკვლევართა ჯგუფს უფრო დეტალურად გაუზიარეს თავიანთი მოსაზრებები მათი ბიზნესისთვის ღია მონაცემების მნიშვნელობის, საჭიროებების და მათთვის სასარგებლო კონკრეტული მონაცემთა ბაზების შესახებ.


<sup>24</sup> "Open Data Readiness Assessment User's Guide", World Bank Group, აპრილი 2015. ხელმისაწვდომია: [http://opendatatoolkit.worldbank.org/docs/odra/odra\\_v3.1\\_userguide-en.pdf](http://opendatatoolkit.worldbank.org/docs/odra/odra_v3.1_userguide-en.pdf)

<sup>25</sup> J. Berend et al, "Re-using Open Data: A study on Companies Transforming Open Data into economic & societal value", European Data Portal, Luxembourg, ივლისი 2020. ხელმისაწვდომია: [https://data.europa.eu/sites/default/files/re-using\\_open\\_data.pdf](https://data.europa.eu/sites/default/files/re-using_open_data.pdf)

კერძო სექტორის წარმომადგენლების მხრიდან კითხვარის შევსების დაბალი მაჩვენებლის გამო რაოდენობრივი კვლევის შედეგები რეპრეზენტატიულად ვერ ჩაითვლება და ვერ მოხდება შედეგების განზოგადება, განსაკუთრებით ცალკეული სამიზნე სექტორის შემთხვევაში. თუმცა, შედეგები სასარგებლოა ზოგადი ტენდენციების საჩვენებლად. თანაც, მსგავსი სექტორის წარმომადგენელი სხვადასხვა კომპანიის წევრები ინტერვიუების დროს მსგავს პრობლემებს, საჭიროებებს ან სასურველ მონაცემთა ბაზებს ასახელებდნენ. რაც მიანიშნებს, რომ კვლევის შედეგად გამოვლენილი ტენდენციები ცალკეული სექტორების მიმართ რელევანტურია და სათანადოდ ასახავს სექტორის წარმომადგენელთა საჭიროებებს.


### გამოკითხვაში მონაწილეთა ზოგადი მონაცემები

გამოკითხვაში მონაწილეთა 47%-მა აღნიშნა, რომ წარმომადგენდა მცირე საწარმოს, 38% საშუალო საწარმოს, ხოლო 15% მსხვილ საწარმოს. გამოკითხული რესპონდენტებიდან, ყველაზე დიდი წარმომადგენლობა ჰქონდა ინფორმაციის და კომუნიკაციის სექტორს (23%), ასევე, საფინანსო და სადაზღვევო სექტორს (21%).



**წყარო:** IDFI-ის ონლაინ გამოკითხვა


გამოკითხული კომპანიების განაწილება  
სექტორების მიხედვით



**წყარო:** IDFI-ის ონლაინ გამოკითხვა

კომპანიების სექტორის და ზომის გარდა, გამოკითხვა ასევე ითვალისწინებდა მათი საქმიანობის სხვადასხვა მახასიათებლების დადგენას, რასაც შესაძლებელია გავლენა ჰქონდეს ღია მონაცემების საჭიროების კვლევასთან. მაგალითად, კომპანიის შემოსავლის მთავარი წყარო, პროდუქციის გასაზრცელებლად გამოყენებული საშუალებები, კომპანიის მიერ შექმნილი სერვისები და პროდუქტები და სხვა. მაგალითად, გამოკითხვის შედეგების მიხედვით, კომპანიების ყველაზე დიდი წილი პროდუქტის გასაზრცელებლად იყენებს სოციალურ ქსელებს.

## რა საშუალებებს იყენებთ პროდუქტის გასაპროცესებლად?




### წყარო: IDFI-ის ონლაინ გამოკითხვა

ღია მონაცემების გამოყენების კუთხით კომპანიების შესაძლებლობების შესაფასებლად, მნიშვნელოვანი ინდიკატორია ამ კუთხით რამდენად აქვს კომპანიას გამოყოფილი ფინანსური თუ ადამიანური რესურსი.

გამოკითხული კომპანიების 63% აღნიშნავს, რომ კომპანიაში არ არის გამოყოფილი დამატებითი ფინანსური რესურსი მონაცემების გამოყენებისთვის ან დამუშავებისთვის. დანარჩენი რესპონდენტები (37%) აღნიშნავენ, რომ მათ კომპანიაში ამ მიზნით გამოყოფილია დამატებითი ფინანსები, რისი წყაროც უმრავლეს შემთხვევაში არის შიდა სახსრები. მხოლოდ მედიის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ამ მიზნით მის კომპანიას აქვს გარე ფინანსური რესურსი მოძიებული.



აქვს თუ არა კომპანიას დამატებითი ფინანსური რესურსი მონაცემების გამოყენებისთვის/დამუშავებისთვის




**წყარო:** IDFI-ის ონლაინ გამოკითხვა

### კომპანიების დამოკიდებულება ღია მონაცემების კუთხით მათ შესაძლებლობებთან დაკავშირებით

შედეგების მიხედვით, კომპანიების წარმომადგენელთა დიდ ნაწილს საკმაოდ მაღალი თვითშეფასება აქვთ ღია მონაცემებთან მუშაობის კუთხით მათი კომპანიის ტექნიკური შესაძლებლობების, გამოცდილების და ცოდნის შესახებ. მაგალითად, 5 ქულიან შკალაზე 4-5 ქულით აფასებს მათი კომპანიების ტექნიკურ შესაძლებლობებს რესპონდენტთა 55%, ხოლო მონაცემების დამუშავების კუთხით მათ გამოცდილებას და ცოდნას 4-5 ქულით აფასებს 62%.


1-5 ქულამდე კომპანიების შეფასება მათი ტექნიკური შესაძლებლობების, გამოცდილების და ცოდნის შესახებ მონაცემებთან მუშაობის კუთხით



**წყარო:** IDFI-ის ონლაინ გამოკითხვა

გამოკითხული კომპანიების 44% აღნიშნავს, რომ მათთვის სამთავრობო მონაცემების ხელმისაწვდომობა ძალიან მნიშვნელოვანია (5 ქულა), თუმცა ხელმისაწვდომი მონაცემების შესახებ სრულყოფილად ინფორმირებულია მხოლოდ 18%.


1-5 ქულამდე კომპანიების შეფასება, ფლობენ თუ არა საქართველოში ხელმისაწვდომი სამთავრობო მონაცემების შესახებ ინფორმაციას და მნიშვნელოვანია თუ არა ისინი მათთვის.



**წყარო:** IDFI-ის ონლაინ გამოკითხვა

## კომპანიაში ღია მონაცემების გამოყენების პრაქტიკა

საინტერესოა გამოკითხვის შედეგები, რომელიც კომპანიებში ღია სამთავრობო მონაცემების გამოყენების თვალსაზრისით არსებულ პრაქტიკას ასახავს. რესპონდენტთა დაახლოებით 20%-მა აღნიშნა, რომ მისი კომპანია საჯარო დაწესებულებებიდან მიღებულ ან მათ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ღია მონაცემებს საერთოდ არ იყენებს.



**წყარო:** IDFI-ის ონლაინ გამოკითხვა

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტი კომპანიები ყველაზე ხშირად ამუშავებენ და აინტერესებთ ბიზნესთან, ფინანსებთან და ეკონომიკასთან დაკავშირებული მონაცემები. ამასთან, კომპანიების ინტერესი მონაცემებთან დაკავშირებით განსხვავებულია სექტორების მიხედვით. მაგალითად, სოფლის მეურნეობის და მრეწველობის სექტორებს მიკუთვნებული კომპანიები ყველაზე დიდ ინტერესს იჩენენ სოფლის მეურნეობის მიმართულებით არსებულ ღია სამთავრობო მონაცემებზე. საფინანსო და სადაზღვევო სექტორისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ფინანსებთან, უძრავ ქონებასთან, ჯანდაცვასთან, ასევე, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზები. ინფორმაციის და კომუნიკაციის სექტორის წარმომადგენელი რესპონდენტების მიერ მონიშნული კატეგორიები შედარებით მრავალფეროვანია. მათმა უმრავლესობამ, ინტერესი გამოხატა, ასევე, აღნიშნა, რომ ხშირად უწევთ მუშაობა გამოკითხვის ფარგლებში შეთავაზებულ თითქმის ყველა მონაცემთა კატეგორიაზე. ინფორმაციის და კომუნიკაციის სექტორს შორის, ის კომპანიები რომლებიც საქმიანობენ IT მიმართულებით, უფრო მეტად ინტერესდებიან

ტექნოლოგიებთან დაკავშირებული მონაცემებით. ვაჭრობის და ტრანსპორტის სექტორი ყველაზე ხშირად იყენებს საერთაშორისო ვაჭრობის (ექსპორტ/იმპორტი), ასევე სატრანსპორტო მონაცემებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბიზნესთან, ფინანსებთან და ეკონომიკასთან დაკავშირებული ღია სამთავრობო მონაცემების გარდა, თითოეული სექტორის რომელიმე რესპონდენტმა მაინც, ინტერესი გამოხატა ისეთ მონაცემებზე, რომლებიც დაკავშირებულია ტურიზმთან, სოფლის მეურნეობასთან, გეოსივრცითი/რუკები, დემოგრაფიულ და სოციალურ საკითხებთან და ტრანსპორტთან.




**წყარო:** IDFI-ის ონლაინ გამოკითხვა

კვლევის ფარგლებში, რესპონდენტებს ზოგადი სფეროების გარდა, ასევე ეთხოვათ დაესახელებინათ ის კონკრეტული მონაცემთა სახეობები, რომლებიც მათ დაამუშავეს ან გამოიყენეს ბოლო პერიოდში. რესპონდენტების მიერ დასახელებული მონაცემთა ბაზები უმეტესწილად დაკავშირებულია მათი საქმიანობის სპეციფიკასთან, კომპანიის ფინანსებთან, პროდუქტის/მომსახურების მომხმარებელთა კვლევებთან და შიდა მოხმარების სხვა ბაზებთან. ღია სამთავრობო მონაცემების დამუშავების/გამოყენების კუთხით, **ყველაზე ხშირად კომპანიები ბოლო პერიოდში იყენებდნენ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და საჯარო რეესტრის მონაცემებს.** მათ შორის, ყველაზე მოთხოვნადი ბაზებია საქსტატის ექსპორტ-იმპორტის მონაცემები, საჯარო და სამენარჩემო რეესტრის მონაცემები და სახელმწიფო შესყიდვების

მონაცემთა ბაზა. სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლის მიერ ასევე დასახელებული იქნა ეროვნული ბანკის, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მონაცემთა ბაზები. ხშირია შემთხვევები, როდესაც კომპანიები ბოლო პერიოდში საკუთარ რესურსს მიმართავდნენ სხვადასხვა იურიდიული პირების საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებაზე.

გამოკითხული კომპანიების დიდმა ნაწილმა (68%) დააფიქსირა, რომ ძირითადად მონაცემებზე მუშაობენ EXCEL-ის ფორმატში. დაახლოებით ყოველმა მესამე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მონაცემებზე ღია ფორმატებში მუშაობენ. კერძოდ, ამუშავებენ პირველად მონაცემებს, რომელიც წარმოებული და გამოქვეყნებულია ელექტრონული ცხრილის შესაბამის გამოთვლად, ელექტრონულად დამუშავებად ფორმატში, მაგალითად CSV, XML. რესპონდენტების უმრავლესობა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მონაცემებზე მუშაობენ ღია ფორმატში, უმეტესწილად წარმოადგენენ ინფორმაცია და კომუნიკაციის და IT სექტორებს.



**წყარო:** IDFI-ის ონლაინ გამოკითხვა

რესპონდენტი კომპანიებისთვის მონაცემების მიღების უმთავრეს წყაროს ინტერნეტის საძიებო სისტემა და მონაცემების ონლაინ შეგროვება წარმოადგენს. საჯარო დაწესებულებების ვებგვერდებს ღია მონაცემების მოპოვებისთვის მხოლოდ 42% იყენებს. ამასთან, ყოველმა მეოთხე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ არასდროს გამოუყენებია საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული ან მათ ვებგვერდზე გამოქვეყნებული მონაცემები.


## საიდან მიიღეთ აღნიშნული მონაცემები?



### წყარო: IDFI-ის ონლაინ გამოკითხვა

გამოკითხული კომპანიების უმრავლესობა (44%) საჯარო დაწესებულებებიდან მოპოვებულ ინფორმაციას იყენებს ბაზრის კვლევისთვის, ბენჩმარკინგისა და კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად. ასევე, კომპანიების 42% აღნიშნავს, რომ სამთავრობო მონაცემები ეხმარებათ ფასების დადგენაში, ხოლო 36-40% მონაცემებს იყენებს ახალი პროდუქტებისა და ახალი მომხმარებლების იდენტიფიცირებისთვის.

## რისთვის იყენებს თქვენი კომპანია საჯარო ინფორმაციას?



**წყარო:** IDFI-ის ონლაინ გამოკითხვა

## კერძო სექტორისთვის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები

ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების ფარგლებში, IDFI-მ იდენტიფიცირება გაუკეთა იმ მონაცემთა ბაზებს, რომელთა ხელმისაწვდომობასაც ისურვებდნენ კომპანიები, მათი ბიზნეს საჭიროებებიდან გამომდინარე. რესპონდენტების მიერ დასახელებული სასურველი მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად საჯარო დაწესებულებების მხრიდან ცალკეული ღონისძიებების გატარება იქნება საჭირო: მონაცემთა ბაზებზე წვდომისთვის ფასიანი სერვისის გაუქმება, არსებული მონაცემთა ბაზების ღია ფორმატში (API ხელმისაწვდომობა) ხელმისაწვდომობა, არსებული ბაზების დამატებითი კატეგორიებით გამდიდრება, პერსონალური ინფორმაციის შემცველ მონაცემთა ბაზებზე წვდომის უფლების დაშვება, ახალი მონაცემების დამუშავება და მონაცემთა ბაზის სახით სტრუქტურირება, და სხვა.

საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან კვლევის შედეგების წარდგენის დროს დამატებით გამოითქვა მოსაზრებები, რომ პირველ რიგში საჭიროა იმ მონაცემების ღია ფორმატში გამოქვეყნება, რომლებიც კანონმდებლობის მიხედვით საჯაროა. პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, აღინიშნა, რომ მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების ხელმისაწვდომობისას, მნიშვნელოვანია მოხდეს პირის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დაფარვა. ამის უზრუნველსაყოფად ითქვა, რომ მონაცემთა ბაზების API ხელმისაწვდომობის შემთხვევაში ავტომატურად შესაძლებელია

პერსონალური მონაცემების დაცვით მონაცემთა ბაზების სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის წვდომის უზრუნველყოფა. ჩალრმავებული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების დროს, კერძო სექტორისთვის პრიორიტეტულად მიჩნეულ მონაცემთა ბაზებთან ერთად, დამატებით გამოიყო საჯარო აუქციონები, და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მონაცემების ღია ფორმატში ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა. ასევე, აღინიშნა, რომ თანამედროვე ტენდენციაა დღეს ღია ტრანზაქციების ხელმისაწვდომობაზეა ორიენტირებული და სასურველია აღნიშნული მიდგომები საქართველოშიც დაინერგოს. დამატებით გამოითქვა მოსაზრება, რომ მონაცემთა ბაზების მანქანად-კითხვად ფორმატში გამოქვეყნებასთან ერთად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მონაცემთა ბაზის ერთიანი სახით ხელმისაწვდომობა, რათა მესამე მხარეს ჰქონდეს სრულყოფილი მონაცემები/ინფორმაცია.

სამთავრობო მონაცემთა ბაზებზე წვდომასთან დაკავშირებით საკუთარი საჭიროებების შესახებ ყველაზე დეტალური ინფორმაცია მკვლევართა ჯგუფს საბანკო სექტორმა გაუზიარა. აღნიშნული სექტორის წარმომადგენლებმა IDFI-ს გამოუგზავნეს ცალკეული კომპანიების მიერ ერთობლივად შემუშავებული დოკუმენტი, სადაც საჯარო დაწესებულების მიხედვით (საჯარო რეესტრი, ჯანდაცვის სამინისტრო, განათლების და მეცნიერების სამინისტრო, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, შემოსავლების სამსახური, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, ღვინის ეროვნული სააგენტო, საქსტატი, თბილისის მერია, ფინანსთა სამინისტრო, სასამართლო სისტემა, ნოტარიუსთა პალატა, აღსრულების ეროვნული ბიურო) სტრუქტურირებულად აღწერილია ის მონაცემები, რომლებზე წვდომაც ესაჭიროებათ საბანკო სერვისების გაუმჯობესებისთვის და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით. საბანკო სექტორისთვის სასურველი მონაცემების უმრავლესობა დაკავშირებულია მათი მომხმარებლების შესახებ დამატებით პერსონალურ ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობასთან.

თუმცა, წარმოდგენილ დოკუმენტში ასახული ინფორმაცია ასევე მოიცავს ისეთ ბაზებს, რომლებიც შინაარსით წარმოადგენს ღია სამთავრობო მონაცემთა ბაზებს და მათი ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია როგორც საბანკო სექტორისთვის, ასევე ქვეყნის ღია მონაცემების ეკოსისტემის განვითარებისთვის.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში, საბანკო სექტორის გარდა, ასევე იდენტიფიცირდა სხვა სექტორების წარმომადგენელი კომპანიებისთვის სასურველი მონაცემთა ბაზები, რომელთა ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით დღეის მდგომარეობით აწყდებიან პრობლემებს. სადაზღვევო სექტორის წარმომადგენლები ინტერვიუების ფარგლებში აღნიშნავენ, რომ მათთვის მნიშვნელოვანია ჯანდაცვის, დემოგრაფიული, ქონების, მეტეოროლოგიური, ტურიზმის, ფინანსების და სხვადასხვა ეკონომიკური პარამეტრების შესახებ დეტალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. მაგალითად, ისინი აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვნად გართულებულია ჯანდაცვის სერვისების და მედიკამენტების მოხმარების სრულყოფილი სტატისტიკის გაცნობა. ეს უმეტესწილად განპირობებულია იმ



ფაქტით, რომ ტექნიკურად შეზღუდული აქვთ ჯანდაცვის იმ პორტალზე წვდომა, რომელიც ხელმისაწვდომია სამედიცინო სექტორისთვის. დემოგრაფიული მონაცემების კუთხით, სადაზღვევო სექტორი გამოყოფს გარდაცვალების სრულყოფილ სტატისტიკას. მათი შეფასებით, გარდაცვალების სტატისტიკის ხელმისაწვდომი მიზეზები საჭიროებს მეტ კონკრეტიკას. ქონების მიმართულებით, სადაზღვევო სექტორი აღნიშნავს, რომ მათთვის მნიშვნელოვნად გართულებულია და მნიშვნელოვან რესურსს მოითხოვს რეგიონების მიხედვით უძრავ ქონებაზე საბაზრო ფასების დადგენა, ასევე, პრობლემურია საკადასტრო კოდების მიხედვით დაზღვეულისა და დაზღვევის არმქონე ქონების იდენტიფიცირებას/გარჩევას, რაც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ერთი და იგივე კოდზე შესაძლებელია რეგისტრირებული იყოს რამდენიმე ქონება.

სადაზღვევო სექტორი მიიჩნევს, რომ სადაზღვევო პროდუქტებისთვის ასევე მნიშვნელოვანია მეტეოროლოგიური მონაცემები, რომლის ხელმისაწვდომობა ქვეყნაში გართულებულია.

*“ამინდის შესახებ მეგეოხოლოგიური ცენკებიდან ინფორმაცია იყო საჭირო ერთ-ერთ პირობებში სოფლის მეურნეობის შესახებ და ძალიან ხიული იყო ამ ინფორმაციის მიღება. მეგეოლოგიური ხუკები, რომლებიც სხვა ქვეყნებში უკვე კახგად ახის განვითარებული, ჩვენთან გაუხკვევდია კეთდება თუ ახა, და საჭიროა ნებისმიერ სადაზღვევო პირობებზე.” - გამოთქმული მოსახლება ერთ-ერთი ხესპონდენტის მიერ*

საფინანსო და სადაზღვევო სექტორის შედარებით მცირე ბიზნესის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მათთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკური მაჩვენებლების დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით დეტალური ხელმისაწვდომობა. მათი შეფასებით, ასეთი მონაცემები შეგროვილი აქვთ მხოლოდ მსხვილ კომპანიებს, მათი ხანგრძლივი საქმიანობიდან გამომდინარე, ხოლო დამწყები ბიზნესისთვის რთულია ასაკობრივ ჯგუფებზე, რეგიონებსა და სხვადასხვა სეგმენტზე მორგებული სერვისები/პროდუქტები შექმნა.

**ინფორმაციის და კომუნიკაციის სექტორის** წარმომადგენლების მიერ დასახელებული მონაცემთა ბაზები დაკავშირებულია საკადასტრო რუკებთან, ინფრასტრუქტურულ პროექტებთან, ბიზნეს სუბიექტების და საჯარო მოხელეების საკომუნიკაციო მონაცემებთან, სახელმწიფო შესყიდვებთან, ტურისტულ და სატრანსპორტო მონაცემებთან. მაგალითად, სატელეკომუნიკაციო სექტორის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცალკეული უბნების მიხედვით გენგეგმები და სრულყოფილი ზონალური დაყოფები არ არის ხელმისაწვდომი. არ არის დატანილი არქეოლოგიური ზონები და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. ასევე, აღინიშნა, რომ არ არსებობს სტრატეგიული გეგმა, სადაც განერილი იქნება უახლოეს მომავალში

დაგეგმილი ქუჩების რეაბილიტაციის, ხიდების მშენებლობის და ა.შ. სახელმწიფო და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოწყობის შესახებ მონაცემები. IT სექტორის წარმომადგენლები ინტერვიუს ფარგლებში აღნიშნავენ, რომ მათ სფეროში პროფესიული კადრების მოზიდვის მიზნით, მნიშვნელოვანია რეგიონების, ქალაქების და სოფლების მიხედვით სფეროს სპეციალისტების და საშუალო ხელფასების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ასევე, მათი საქმიანობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანად მიიჩნევენ ტურისტების შესახებ, სატრანსპორტო საშუალებებში მგზავრთა ნაკადების, მობილური ტერმინალების შესახებ მაქსიმალურად დეტალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

**ვაჭრობის სექტორის** წარმომადგენლებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან მონაცემთა ბაზად მიჩნეულია საერთაშორისო ვაჭრობის (ექსპორტ/იმპორტის) მონაცემები. სექტორის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზა კონკრეტული პროდუქტების მიხედვით მნიშვნელოვან ინფორმაციას არ იძლევა, ხოლო მისი სასურველი ფორმით მიღება ფასიანია. სექტორის წარმომადგენლების მხრიდან, ასევე უმეტესწილად დასახელებულია ისეთი ბაზები, რომლებიც დაკავშირებულია მათთვის საინტერესო პროდუქტების წარმოებასთან და მოხმარებასთან. მაგალითად, ერთ-ერთი კომპანიის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ბიზნესის დაწყების ეტაპზე მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჰქონოდა თევზჭერასთან (განსაკუთრებით შავ ზღვაში) და თევზის პროდუქტების გაყიდვასთან დაკავშირებული მონაცემები და გადანყვებილები მიეღო კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლების მხრიდან სამთავრობო მონაცემების, როგორც ფასიანი სერვისით მიღების შესაძლებლობა, დასახელდა სხვადასხვა მონაცემების ხელმისაწვდომობისათვის მნიშვნელოვან პრობლემად. მაგალითად, საქსტატის მონაცემთა ბაზები ცალკეული პროდუქტებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით, საჯარო რეესტრის სხვადასხვა მონაცემები/რეესტრები, მათ შორის ქონების შესახებ, საგადასახადო დეკლარაციები და სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ განსხვავებული პოზიცია შეინიშნებოდა მსხვილი და მცირე კომპანიების კუთხით. მსხვილი კომპანიებისთვის პრიორიტეტულად დასახელდა ცალკეულ მონაცემთა ბაზებზე წვდომა თუნდაც ფასიანი სერვისის სახით, რადგან ამით უზრუნველყოფილი იქნება მონაცემების ხარისხი და დროული განახლება. მაშინ როცა, მცირე კომპანიებისთვის მონაცემების ფასიანი სერვისები დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

**თითოეული სექტორის მიერ დასახელებულ ყველაზე მნიშვნელოვან ღია სამთავრობო ბაზებს შორისაა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს პორტალი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პორტალი და ანგარიშგების პორტალი.** რესპონდენტმა დიდი ნაწილის მოსაზრებით, თუ აღნიშნული ბაზები API (აპლიკაციის პროგრამირების ინტერფეისი) ხელმისაწვდომი გახდება, მარტივად შეძლებენ მონაცემების დამუშავებას და ხელი შეეწყობათ სასურველი აპლიკაციების შესაქმნელად.

**ინტერვიუების ფარგლებში იდენტიფიცირებული მონაცემთა ბაზები, რომელთა ხელმისაწვდომობა/ განვითარება სურთ კომპანიებს**

**საფინანსო და სადაზღვევო სექტორი**

მონაცემთა ბაზის სახელწოდება	სავარაუდო ადრესატი უწყება	შენიშვნა
ჯანდაცვის სერვისების და მედიკამენტების მოხმარების სრულყოფილი სტატისტიკა	ჯანდაცვის სამინისტრო	სადაზღვევო სექტორს შებლდული აქვს წვდომა ჯანდაცვის პორტალზე, საიდანაც შესაძლებელია მსგავსი მონაცემების მიღება/დამუშავება
გარდაცვალების სრულყოფილი სტატისტიკა	ჯანდაცვის სამინისტრო/ სტატისტიკის ეროვნული სამსახური	გარდაცვალების მიზეზების დეტალური კლასიფიკაციით
რეგიონების მიხედვით უძრავ ქონებაზე საბაზრო ფასების მონაცემთა ბაზა	ეროვნული ბანკი/საქსტატი	
დაზღვეული და დაზღვევის არმქონე ქონების მონაცემთა ბაზა	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	საკადასტრო კოდების მიხედვით დაზღვეულისა და დაზღვევის არმქონე ქონების იდენტიფიცირების გარჩევის შესაძლებლობა
მეტეოროლოგიური მონაცემები	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო	
ეკონომიკური მაჩვენებლების დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით დეტალური ხელმისაწვდომობა	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/ საქსტატი	
საზოგადოებრივი უსაფრთხოების მონაცემები	შინაგან საქმეთა სამინისტრო	რეგიონების და დასახლებული პუნქტების მიხედვით დანაშაულის სტატისტიკა
ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ანგარიში	ფინანსური მონიტორინგის სამსახური/ეროვნული ბანკი	
კომპანიის ბენეფიციარი არარეზიდენტი პირების მონაცემთა ბაზა	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	

შპმ პირების რეგიონული განაწილება შეზღუდული შესაძლებლობის ტიპების მიხედვით	ჯანდაცვის სამინისტრო	
სასწავლებლების დეტალური მონაცემთა ბაზა	განათლების და მეცნიერების სამინისტრო	აკრედიტაციის სტატუსის, მოსწავლეების და მასწავლებლების რაოდენობის მითითებით
ფერმერული მეურნეობების ბაზა	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ბაზა	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	
სასაკლაოების ბაზა	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	
ვეტერინარული აცრების ბაზა	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	
რძის პროდუქტების მწარმოებელთა ბაზა	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	
რეესტრი ნაკვეთების/სოფლების მიხედვით (ქინძმარაულის, ხვანჭკარის ზონა და ა.შ)	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	
სარწყავი ნაკვეთების რეესტრი	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	
მაღალმთიანი რეგიონების რეესტრი	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	
თბილისის პარკინგის საპარკინგე ადგილები	თბილისის მერია	
ტაქსების ბაზა	თბილისის მერია	
სამარშრუტო ტაქსების ბაზა	მუნიციპალიტეტი	
კვების ობიექტების ბაზა	სურსათის ეროვნული სააგენტო	

სტომატოლოგიური კლინიკების ბაზა	ჯანდაცვის სამინისტრო	
სილამაზის სალონთა ბაზა	მუნიციპალიტეტი	
ბუნებრივი რესურსების ბაზა	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	
მშენებლობის ნებართვების ბაზა	მუნიციპალიტეტი	
აუდირებული ანგარიშგებების ბაზა	ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური	
ემიგრანტების დეტალური სტატისტიკა	შინაგან საქმეთა სამინისტრო	ემიგრანტთა სტატისტიკა ქვეყნების და ემიგრაციის ვადების მიხედვით. თვეების მიხედვით არარეზიდენტების შემოსავლები
ბენზინგასამართ და გაზგასამართ სადგურებზე გაცემული ლიცენზიების ბაზა	ფინანსთა სამინისტრო	
დეველოპერული პროექტების მშენებლობის სტატუსი	თბილისის მერია	
ინფორმაცია ზონალური პარკირების სერვისებზე	თბილისის მერია	
მუნიციპალური ტრანსპორტით გადაყვანილი მგზავრთ სტატისტიკა მარშრუტების მიხედვით	თბილისის მერია	
მუნიციპალურ გაჩერებებზე მომლოდინე მგზავრთა რაოდენობები გაჩერებების მიხედვით	თბილისის მერია	
თბილისის ცენტრალურ ქუჩებსა და ცენტრალურ მაგისტრალებზე კალენდარული თვეების მიხედვით გადაადგილებული ავტომანქანების რაოდენობა	თბილისის მერია	

მეტროს გაჩერებებზე მგზავრთა რაოდენობა კვირის დღეების, საათების მიხედვით	თბილისის მერია	
ავტომანქანების გადაადგილების სტატისტიკა	თბილისის მერია	სიხშირე კვირის დღეების, საათების მიხედვით
საბავშვო ბაღების დეტალური სტატისტიკა	თბილისის მერია	რეგისტრირებული ბავშვების რაოდენობა, ისევე როგორც საბავშვო ბაღებში დაქირავებული თანამშრომლების რაოდენობა
რეგისტრირებული შინაური ცხოველების მონაცემთა ბაზა	მუნიციპალიტეტები	სახეობა, ჯიში
ბიომეურნეობის ბაზა		

## ინფორმაცია და კომუნიკაციის სექტორი

მონაცემთა ბაზის სახელწოდება	სავარაუდო აღრუასატი უწყება	შენიშვნა
ცალკეული უბნების მიხედვით გენგეგმები და სრულყოფილი ზონალური დაყოფები	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	
არქეოლოგიური ზონების და კულტურული დაცვის სააგენტოს დაცვის ზონაში არსებული შენობების მონაცემთა ბაზა	კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	
დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მონაცემთა ბაზა	ინფრასტრუქტურის სამინისტრო, მუნიციპალიტეტი	
სახელმწიფო შენობების მონაცემთა ბაზა	სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო/საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	
ბიზნეს სუბიექტების მონაცემთა ბაზა	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქსტატი	საქსტატის მონაცემები ხშირად გასახლებულია და არ იძლევა ზუსტ ინფორმაციას მოქმედი კომპანიების შესახებ

IT სფეროს სპეციალისტების და საშუალო ხელფასების სტატისტიკა	საქსტატი	სოფლების, ქალაქების და რეგიონების მიხედვით
ტურისტული მონაცემები რეგიონების მიხედვით	ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია	რომელ რეგიონს რომელი ქვეყნის მოქალაქეები სტუმრობენ
სატრანსპორტო საშუალებებში მგზავრთა ნაკადების შესახებ ინფორმაცია	მუნიციპალიტეტი	
მოთილური ტერმინალების შესახებ მაქსიმალურად დეტალური ინფორმაცია	მუნიციპალიტეტი	
საჯარო მოხელეების საკომუნიკაციო მონაცემები	საჯარო სამსახურის ბიურო	
მინის ნაკვეთების კატეგორიების ცვლილებების მონაცემთა ბაზა	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო/ მუნიციპალიტეტი	

### ვაჭრობა და ტრანსპორტის სექტორი

მონაცემთა ბაზის სახელწოდება	საკვარაულო აღრუნიანი უწყება	შენიშვნა
საერთაშორისო ვაჭრობის (ექსპორტ/იმპორტის) მონაცემები	საქსტატი	მაქსიმალური ჩაშლა კონკრეტული პროდუქტების მიხედვით
ინფლაციის შესახებ დეტალური ინფორმაცია	ეროვნული ბანკი	
ცალკეული პროდუქტების წარმოების და მოხმარების დეტალური სტატისტიკა	საქსტატი	მაგალითად დასახელებულია შავ ზღვაში თევზჭერის სტატისტიკა და თევზის პროდუქტების გაყიდვასთან დაკავშირებული სტატისტიკა
სატრანსპორტო საშუალებებში მგზავრთა ნაკადების შესახებ ინფორმაცია	მუნიციპალიტეტები	
საქალაქთაშორისო ტრანსპორტის გადაადგილების განრიგი	მუნიციპალიტეტები	

## სამრეწველო სექტორი

მონაცემთა ბაზის სახელწოდება	სავარაუდო აღრესადი უწყება
საწარმოების, საწყობების და სადისტრიბუციო კომპანიების მონაცემთა ბაზა	სტატისტიკის ეროვნული სამსახური
ტვირთბრუნვის დეტალური მონაცემთა ბაზა	შემოსავლების სამსახური/ სტატისტიკის ეროვნული სამსახური
პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემთა ბაზა	სტატისტიკის ეროვნული სამსახური
მშენებლობაზე გაცემული ნებართვების ბაზა	მუნიციპალიტეტი


## კომპანიების სასურველი მონაცემთა ბაზები API ხელმისაწვდომობით

სახელმწიფო შესყიდვების პორტალი
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უძრავი ქონების და მენარმე/იურიდიული პირების მონაცემთა ბაზა
ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგების პორტალი (reportal.ge)



## კომპანიებში ღია მონაცემების გამოყენების ბარიერები და მათი დაძლევის გზები

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ღია სამთავრობო მონაცემების გამოყენების კუთხით კომპანიებისთვის ყველაზე დიდ ბარიერს წარმოადგენს შესაბამისი სამთავრობო მონაცემების ნაკლებობა (60%) და მისი მოძიების სირთულე (54%). ამასთან, ღია სამთავრობო მონაცემების გამოყენებისთვის ერთ-ერთ ყველაზე ხელისშემშლელ ფაქტორად დასახელებულია ხელმისაწვდომი სამთავრობო მონაცემების ფორმატი. კერძოდ, რესპონდენტთა 32% აღნიშნავს, რომ მათთვის საინტერესო მონაცემები ხშირად ხელმისაწვდომი არ არის ელექტრონულად დამუშავებად ფორმატში.



**წყარო:** IDFI-ის ონლაინ გამოკითხვა

რესპონდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ხსენებული ბარიერები უარყოფითად მოქმედებს მათ ბიზნესზე. რესპონდენტთა მიერ დაფიქსირებული ღია პასუხების მიხედვით, სამთავრობო მონაცემების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით არსებული ბარიერები ძირითად მათ პრობლემას უქმნის შემდეგი მიმართულებით:

- — ბიზნეს პროცესის გაჭიანურება და ხარჯების ზრდა;
- — ბაზრის კვლევისა და ანალიზის პროცესის გართულება;
- — ახალი შესაძლებლობების აღმოჩენის/განვითარების შეფერხება.

მაგალითად, ერთ-ერთი რესპონდენტი ინტერვიუს დროს აღნიშნავს, რომ ვერ ახერხებენ მათთვის საჭირო მონაცემების სრულყოფილად მიღებას, რაც მოქმედებს დამუშავებული მონაცემების ხარისხზე და სიზუსტეზე. ასევე, დამატებითი ინფორმაციის მოძიება და დამუშავება მოითხოვს მეტ დროს და რესურსს, რაც საბოლოოდ უარყოფითად აისახება კომპანიის მომსახურების ხარისხზე.

საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან კვლევის შედეგების წარდგენის დროს დამატებით გამოითქვა მოსაზრებები, რომ კომპანიები ვერ რისკავენ ცალკეული მონაცემთა ბაზების საფუძველზე ახალი სერვისებისა თუ აპლიკაციების შექმნას, რადგან არ აქვთ საკმარისი გარანტიები, რომ მომავალშიც ექნებათ წვდომა შესაბამის მონაცემებზე.

*„პიჩაი, პიოფესიული გამოცდილებითა და კონტაქტებით ვახეხებთ დავაკომპენსიხოთ ის ვაკუუმი, ხის თაობაზე განვიცდით ინფორმაციის ნაკლებობას” - ეხთ-ეხთი ჰესპონდენტის მიეხ გაზიახებული მოსაზრება*

რესპონდენტთა დაახლოებით 14% ღია კითხვაში აფიქსირებს, რომ სამთავრობო მონაცემების ხელმისაწვდომობაზე არსებულ ბარიერებს, მათ ბიზნესზე გავლენა ან საერთოდ არ აქვს, ან იმდენად უმნიშვნელოა, რომ მასზე არ არის დამოკიდებული ბიზნესის წარმატება.

აღნიშნული ბარიერების აღმოსაფხვრელად რესპონდენტებმა შემდეგი შესაძლო გადაჭრის გზები დაასახელეს:

- → მონაცემთა შეგროვებისა და მართვის პრაქტიკის გაუმჯობესება და მათი ხელმისაწვდომობის ზრდა;
- → ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით სამართლებრივი გარანტიების არსებობა;
- → ღია სამთავრობო მონაცემებზე ცნობიერების ამაღლება;
- → ადამიანური/ფინანსური რესურსების უზრუნველყოფა და კომპეტენციების ამაღლება;
- → კერძო კომპანიების ჩართულობისა და როლის გაზრდა;
- → სახელმწიფოს და კერძო სექტორის კონკურენციის შემცირება.

საგულისხმოა, რომ რესპონდენტთა მხრიდან მნიშვნელოვნად დასახელდა ღია მონაცემებთან დაკავშირებით ერთიანი პოლიტიკისა და შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს არსებობა.

„სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ერთიანი მიდგომა, ინსტიტუციის დონეზე გაცხადებული კუხი და ერთიანი პოლიტიკა და ახ უნდა იყოს დამოკიდებული ხედმძღვანედ პიხზე. აუცილებელია ერთიანი საკანონმდებლო ჩაჩჩოსა და სისტემუხი მიდგომის აჩსებობა. შესაბამისი ხეგუდაციებისა და საეხთო პოლიტიკის აჩსებობა.“ - ერთ-ერთი ხესპონდენტის მიეხ გაზიახებული მოსაზრება


## თანამშრომლობა ღია მონაცემებთან დაკავშირებით

რესპონდენტთა ყველაზე დიდ ნაწილს საჯარო დაწესებულებებთან მონაცემების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით თანამშრომლობა წარმოუდგენიათ და სურთ შესაბამისი IT ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, სამთავრობო მონაცემების გამოყენების გზით მათი სერვისების გასაუმჯობესებლად და მობილური აპლიკაციების შესაქმნელად. რესპონდენტთა დაახლოებით 14%-სთვის ამ კუთხით საჯარო დაწესებულებებთან თანამშრომლობის პერსპექტივებთან განწყობები ნეგატიურია. მათ შორის, 5% აღნიშნავს, რომ არ ითანამშრომლებდა, ხოლო 9% ფიქრობს, რომ მთავრობას მათთან თანამშრომლობა არ დააინტერესებდა.

ასევე, გამოითქვა მოსაზრება, რომ როცა ცალკეულ სექტორში სახელმწიფო მონაწილეობს როგორც აქტორი და არა რეგულატორი, შემდეგ სახელმწიფო ხდება სექტორის კონკურენტი.

„ხოგოჩ კი კონკუხენცია მოიხსნება და სახელმწიფო აღსხუდებაში აჩ იქნება ჩაჩეუდი და მხოდოდ პოლიტიკის შექმნაზე იქნება პასუხისმგებელი, ყვედა საჭიხო მონაცემი უფხო გასაჯაჩოვდება და ყვედასთვის გახდება ხედმისაწვდომი. ამ პიხობებში საჯაჩო სექტოხი ვადებული იქნება ცადკეუდი მონაცემები გახადოს საჯაჩო/ხედმისაწვდომი, მაშინ ხოცა ახდა კეჩდო სექტოხს აჩ აქვს ბეჩკეგი სახელმწიფოს მოსთხოვოს მონაცემების გამოქვეყნება.“ - ერთ-ერთი ხესპონდენტის მიეხ გამოთქმული მოსაზრება

**რა მიზნით ითანამშრომლებდით საჯარო  
დანახებულებებთან მონაცემების ხელმისაწვდომობის  
საკითხებზე?**



**წყარო:** IDFI-ის ონლაინ გამოკითხვა

# მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობის შესახებ საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩო და პრაქტიკა

## ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრი

დღეის მდგომარეობით, საქართველოს არ აქვს დამოუკიდებელი საკანონმდებლო აქტი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ. ნაცვლად დამოუკიდებელი საკანონმდებლო აქტისა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი საკითხები მოცემულია საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი განმარტავს, რომ საჯარო ინფორმაცია არის: საჯარო დაწესებულებაში დაცული, ასევე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.<sup>26</sup> აღსანიშნავია, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ მოიცავს ღია მონაცემთა განმარტებას, თუ საჯარო დაწესებულებათა ვალდებულებას, გამოაქვეყნონ მათ ხელთ არსებული მონაცემები მანქანად-კითხვად ფორმატში.

მნიშვნელოვანია საჯარო ინფორმაციის რეესტრის როლი ინფორმაციის საჯაროობის პრინციპის დაცვის ნაწილში. 2011 წელს საქართველოში ამოქმედდა კანონი ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ. ამ კანონის შექმნის მიზანს წარმოადგენდა, საქართველოს საჯარო სექტორში არსებული რეესტრების, მონაცემთა ბაზების, მომსახურებისა და ინფორმაციული სისტემების ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შექმნა, ასევე რეესტრების, მონაცემთა ბაზების, მომსახურებისა და ინფორმაციული სისტემების შექმნის, გამოყენებისა და შეცვლის ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბება და მოწესრიგება, მათი წარმოების წესების სტანდარტიზაცია და რეესტრების, მონაცემთა ბაზების, მომსახურებისა და ინფორმაციული სისტემების სფეროში სახელმწიფოს ინფორმაციული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა. რეესტრის წარმოების ვალდებულება აქვს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიული პირს – ციფრული მმართველობის სააგენტოს. საგულისხმოა, რომ სწორედ სააგენტოს უფლებამოსილებებს შორის შედის მონაცემთა გაცვლის ერთიანი სისტემის (ინფრასტრუქტურის) მართვა და განვითარება, ასევე, მონაცემთა გაცვლის ერთიანი სტანდარტის დადგენა.<sup>27</sup>

<sup>26</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 2, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „მ“.

<sup>27</sup> საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ციფრული მმართველობის სააგენტოს შესახებ

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია შეიტანოს ამ დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაცია საჯარო რეესტრში.<sup>28</sup> აღნიშნული გულისხმობს საჯარო დაწესებულებათა მიერ საჯარო ინფორმაციის რეესტრის წარმოებას, რომელშიც ხდება დაწესებულებაში დაცული საჯარო ინფორმაციის აღრიცხვა საჯარო ინფორმაციის დასახელების, მიღების, შექმნის, დამუშავების ან გამოცემის თარიღის მითითებით. მოცემული ჩანაწერი არ აკისრებს საჯარო დაწესებულებებს საჯარო რეესტრში ინფორმაციის/მონაცემთა ელექტრონული სახით შენახვისა თუ ღია ფორმატში განთავსების ვალდებულებას. მოქმედი კანონმდებლობა განსაზღვრავს მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოთა უფლებამოსილებას (და არა ვალდებულებას) საქმისწარმოებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით გამოიყენონ პროგრამული უზრუნველყოფა და მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებები, მათ შორის ელექტრონული ასლის სახით შეინახონ და გასცენ მათ მიერ შექმნილი ან მათთან დაცული ნებისმიერი დოკუმენტი.<sup>29</sup>

უფრო კონკრეტულად, კანონმა დაამკვიდრა ბევრი ისეთი ტერმინი, რაც აუცილებელია ქვეყანაში ერთიანი სტანდარტებისა და სახელმწიფო ინფორმაციული პოლიტიკის განსაზღვრისთვის. მაგ. კანონის ტერმინთა განმარტების მიხედვით:

**მონაცემთა ბაზა** არის სისტემური ან მეთოდური წესით დალაგებული ნაწარმოებების ან/და სხვა მონაცემებისა და მასალების კრებული, რომელიც ინდივიდუალურად ხელმისაწვდომია ელექტრონული ან სხვა საშუალებებით. ეს ტერმინი არ გულისხმობს კომპიუტერულ პროგრამას, რომელიც გამოიყენება ელექტრონული საშუალებებით ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზის შექმნისა და გამოყენების დროს.

**რეესტრი** „ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ კანონით განიმარტება როგორც „საგნების, სახელების, ქმედებების ან სხვა ინფორმაციის ფორმალური ან/და ოფიციალური ჩანაწერი“. შესაბამისად, რეესტრი წარმოადგენს ცნობილი ფაქტების, გაზომვადი ერთეულებისა და ინდიკატორების აზრობრივ ერთობლიობას, რომლის შემდგომი დაყოფა მას ლოგიკურად გამოუსადეგარს ხდის ბიზნეს-პროცესისათვის.

„ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით, დადგენილია რეესტრის, მონაცემთა ბაზის, მომსახურების ან ინფორმაციული სისტემის მნიშვნელოვანი ცვლილების, განვრცობის, კომბინირების, გაუქმების, განადგურების, არქივირებისა და გადაცემის რეგისტრაციის ვალდებულება. კანონის მიხედვით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მონაცემთა ბაზის თუ რეესტრის შექმნიდან არაუგვიანეს 30 დღეში, ხოლო გაუქმებამდე 30 დღით ადრე წერილობით შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს.

<sup>28</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 35.

<sup>29</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 351

ამავე კანონის მიხედვით, ციფრული მმართველობის სააგენტოს უფლება აქვს დაწესებულებიდან მიღებული შეტყობინების შემდგომ, მას რეკომენდაციით მიმართოს თავი შეიკავონ კონკრეტული მონაცემთა ბაზის შექმნისგან თუ გაუქმებისგან. ანუ ამ კანონით არა მხოლოდ განისაზღვრა მონაცემთა ბაზების თუ რეესტრების აღწერის ვალდებულება, არამედ ასევე დაწესდა კონკრეტული პროცედურები მათი განვითარების, ცვლილების თუ გაუქმების შემთხვევისთვის. მნიშვნელოვანია ასევე, აღინიშნოს, რომ კანონის მიხედვით, რეესტრის სუბიექტები არიან ყველა ადმინისტრაციული ორგანო, შესაბამისად, ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. ასევე, რეესტრის სუბიექტებს წარმოადგენენ სამედიცინო ან ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომელებიც ახორციელებენ მონაცემების შექმნას, შეცვლას, წაშლას ან განადგურებას. აქედან გამომდინარე, კანონის მოქმედება ვრცელდება თითქმის ყველა საჯარო დაწესებულებაზე და კანონის სრულყოფილად აღსრულების შემთხვევაში, ინფორმაციის ერთიან სახელმწიფო რეესტრში თავმოყრილი უნდა იყოს სრული ინფორმაცია იმ აქტივების შესახებ, რაც მონაცემთა ბაზების, რეესტრების თუ სერვისების სახით გააჩნია საჯარო სექტორს.

ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ კანონი უნდა გამხდარიყო მნიშვნელოვანი მექანიზმი, ქვეყანაში ღია სამთავრობო მონაცემების კუთხით არსებული რესურსის და პოტენციალის შესაფასებლად. IDFI-ის მიერ კანონის აღსრულებასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით განხორციელებული მონიტორინგი აჩვენებს, რომ ამ კანონის აღსრულება პრაქტიკაში სათანადოდ არ ხდება. ამასთან, დღეის მდგომარეობით, ტექნიკურ განახლებას საჭიროებს ციფრული მმართველობის სააგენტოს გამგებლობაში არსებული პორტალი, რომლის საშუალებითაც საჯარო უწყებები უნდა ახორციელებდნენ შესაბამისი ინფორმაციის რეგისტრაციას.

აღსანიშნავია, რომ ღია მმართველობა საქართველოს 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის, ასევე, საჯარო მმართველობის რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიხედვით, იგეგმება ერთიან სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირებული მონაცემთა ბაზების ჩამონათვალის პროაქტიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.<sup>30</sup> აღნიშნული ვალდებულების შესრულება ციფრული მმართველობის სააგენტოს ევალება.

---

<sup>30</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება №555 2023 წლის 29 დეკემბერი. ხელმისაწვდომია:

<https://shorturl.at/glENW>

საჯარო მმართველობის რეფორმის 2023 – 2026 წლების სტრატეგიისა და საჯარო მმართველობის რეფორმის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/tDOS1>


14) „ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის“ შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოებს, ქვეყანაში ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის წარმოების მიზნით, ევალუბათ უწყებაში არსებული სხვადასხვა საინფორმაციო რესურსების შესახებ ინფორმაციის რეგისტრაცია, ციფრული მმართველობის სააგენტოს სისტემაში არსებულ პორტალზე.

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული პორტალი ტექნიკურად გაუმართავია, საქსტატი მოკლებულია შესაძლებლობას უზრუნველყოს ინფორმაციის პორტალზე რეგისტრაცია.

სტატისტიკის ეროვნული სამსახური მიეჩნევა IDFI-სთვის მოწოდებული განმახტება.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში, IDFI-მ ერთიანი სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემთა ბაზების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნით მიმართა სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს, თუმცა ინსტიტუტმა სააგენტოსგან განახლებული რეესტრი ვერ მოიპოვა. აღნიშნული რეესტრის შესახებ ინფორმაცია IDFI-ს ბოლოს მიღებული აქვს 2018 წელს, რომლის მიხედვით, ერთიანი სახელმწიფო რეესტრში 58 საჯარო დანესებულებას სულ რეგისტრირებული ჰქონდა 358 მონაცემთა ბაზა/რეესტრი. მათ შორის, ყველაზე მეტი მონაცემთა ბაზა რეგისტრირებული იყო ქალაქ თბილისის მერიის (103), სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (38) და სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მიერ.

### ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემთა ბაზები





სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოდან ჯერ კიდევ 2018 წელს მიღებული ინფორმაციის მიხედვით, ინფორმაციის ერთიან სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული იყო ძალიან ბევრი საინტერესო მონაცემთა ბაზა, რომელთა პროექტიული ხელმისაწვდომობაც ღია მონაცემთა სამთავრობო პორტალის ([www.data.gov.ge](http://www.data.gov.ge)) მეშვეობით, კიდევ უფრო მრავალფეროვანს გახდიდა აღნიშნულ ელექტრონულ რესურსს და ხელს შეუწყობდა დაინტერესებული საზოგადოების, მკვლევრების, დეველოპერების ჩართულობას მის განვითარებაში. დანართის სახით წარმოდგენილია ის რეესტრები, რომელთა გამოქვეყნებაც ღია მონაცემთა სახით შესაძლებელი არის [www.data.gov.ge](http://www.data.gov.ge)-ზე. საგულისხმოა, რომ ღია მმართველობა საქართველოს 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით, იგეგმება „ღია მონაცემების აქტის“ მიღება, რომლის ფარგლებშიც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს მჭიდრო თანამშრომლობით, უნდა მომზადდეს ღია მონაცემების შესახებ სამართლებრივი ჩარჩო, რომლითაც სახელმწიფო უწყებებს დაევალებათ მათ ხელთ არსებული ღია მონაცემების პორტალზე – [Data.gov.ge](http://Data.gov.ge) გამოქვეყნება.<sup>31</sup>


---

<sup>31</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება №555 2023 წლის 29 დეკემბერი. ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/glENW>

## ღია მონაცემების პორტალი (DATA.GOV.GE)

საქართველოში ღია მონაცემების პორტალი (data.gov.ge) შეიქმნა 2014 წელს და მიზნად ისახავდა ქვეყანაში ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის გაზრდას და დამატებითი ელექტრონული სერვისების შექმნის ხელშეწყობას. დღეის მდგომარეობით, ღია მონაცემების პორტალზე გამოქვეყნებულია სულ 174 მონაცემთა ბაზა, რომელთა უმრავლესობა 2019 წლის შემდეგ არ განახლებულა. ბოლო მონაცემთა ბაზა, პორტალზე დაიდო 2022 წლის 25 იანვარს. ასევე, ვებგვერდზე არ არის განთავსებული არცერთი აპლიკაცია, რომელიც შექმნილი იქნებოდა პორტალზე განთავსებული მონაცემთა ბაზების გამოყენებით. შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, პორტალი სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს საჯარო დაწესებულებებში ღია მონაცემების კუთხით არსებულ რესურსზე ეფექტურ ხელმისაწვდომობას, რადგან პორტალი საჭიროებს განახლებას და საჯარო დაწესებულებები წლებია აღარ აქვეყნებენ ახალ მონაცემებს ან/და არ აახლებენ ხელმისაწვდომ მონაცემთა ბაზებს.

აღსანიშნავია, რომ ღია მმართველობა საქართველოს 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის, ასევე, საჯარო მმართველობის რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიხედვით, 2025 წლისთვის იგეგმება „ღია მონაცემების აქტის“ მიღება და პორტალის განახლება.<sup>32</sup> აღნიშნული ვალდებულებების შესრულებაზე მთავარი პასუხისმგებელი დაწესებულება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაა, სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტო და სამინისტროები კი პარტნიორ დაწესებულებებად არიან განსაზღვრულნი.



<sup>32</sup> იქვე. საჯარო მმართველობის რეფორმის 2023 – 2026 წლების სტრატეგიისა და საჯარო მმართველობის რეფორმის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/tDOS1>

# რეკომენდაციები

- საქართველოს მთავრობამ დააჩქაროს ღია მონაცემების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს და ეროვნული სტრატეგიის შემუშავება და მიღება.
- ეროვნულ დონეზე გააქტიურდეს ღია მონაცემების ეკონომიკური შედეგების დაკვირვების და ღია მონაცემების ბაზრის გაზომვის პრაქტიკა.
- ქვეყანამ, შესაბამისი პასუხისმგებელი უწყების ჩართულობით, უზრუნველყოს ღია მონაცემების მზაობის ინდექსში მონაწილეობა.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა უზრუნველყოს გამოკვლევის „საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში“ სამიზნე პოპულაციის იმგვარი შერჩევა, რომ შესაძლებელი იყოს კვლევის შედეგების თითოეული სექტორის მიხედვით განზოგადება.
- გადაიხედოს სახელმწიფო სექტორში ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული ფასიანი სერვისების მიზანშეწონილობა. გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიღებულ იქნას კონკრეტული მონაცემთა ბაზის გახსნით მოსალოდნელი ეკონომიკური შედეგები.
- საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცება, სადაც განსაზღვრული იქნება საჯარო სექტორის ღია მონაცემების მართვისა და სავალდებულო გამოქვეყნების ერთიანი სტანდარტები.
- საქართველოს მთავრობამ და სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტომ ერთობლივად დაგეგმონ და განახორციელონ ღია მონაცემების პორტალის განახლება, და მისი პოტენციური სარგებელის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანია.
- საჯარო დაწესებულებებმა მაქსიმალურად უზრუნველყონ მათ ხელთ არსებული და დაგეგმილი მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების იმგვარი ფორმირება და მართვა, რომ შესაძლებელი იქნას მათი ღია მონაცემების პორტალზე განთავსება.
- საჯარო დაწესებულებებმა უზრუნველყონ მათ ხელთ არსებული მონაცემთა ბაზებიდან და რეესტრებიდან პერსონალური ან/და სხვა დახურული ინფორმაციის გამოცალკევება და ღია მონაცემთა ფორმატში მათი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობა, ხოლო ტექნიკურად აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში, კონკრეტულ საკითხებზე აწარმოონ მაქსიმალურად დეტალური სტატისტიკა.

- საჯარო მოხელეებისთვის შემუშავდეს ერთიანი სახელმძღვანელო, რომელიც მათ დაეხმარება ღია მონაცემების დამუშავება/გამოქვეყნებაში. ასევე, ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვალდებულებების აღსრულებაში, [www.data.gov.ge](http://www.data.gov.ge)-ზე ღია მონაცემთა გამოქვეყნების, განახლებისა და მართვის გაუმჯობესებაში.
- საჯარო დაწესებულებებმა შექმნან საზოგადოებრივი გამოკითხვის ელექტრონული მოდულები, რითაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალება ექნება დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრება უწყების საქმიანობიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე მონაცემთა ღიაობასთან და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.
- ყველა საჯარო დაწესებულებამ, შეძლებისდაგვარად, უზრუნველყოს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების ღია მონაცემთა პორტალზე ([www.data.gov.ge](http://www.data.gov.ge)) განთავსება.
- კერძო სექტორის წარმომადგენლების პოზიციების გათვალისწინებით, პირველ რიგში მნიშვნელოვანია შემდეგი მონაცემთა ბაზების/პორტალების API ხელმისაწვდომობა: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რეესტრები (მათ შორის, უძრავი ქონებისა და ბიზნესის რეესტრები), სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ([procurement.gov.ge](http://procurement.gov.ge)) და ანგარიშგების ([reportal.ge](http://reportal.ge)) პორტალები.
- ღია მონაცემებზე დაფუძნებული და ინოვაციური სერვისების დანერგვის მიზნით, მნიშვნელოვანია კერძო სექტორის წარმომადგენლები აქტიურად გაეცნონ საერთაშორისო კარგ პრაქტიკებს და მსგავსი სერვისების საქართველოში განსავითარებლად იდენტიფიცირება გაუკეთონ საჭირო ღია სამთავრობო მონაცემებს.
- მნიშვნელოვანია, კერძო კომპანიებმა პროაქტიულად მოახდინონ მათთვის მნიშვნელოვანი სამთავრობო მონაცემების ხელმისაწვდომობის აუცილებლობის კომუნიკაცია შესაბამის საჯარო უწყებებთან, და კერძო-საჯარო დიალოგისა და პარტნიორობის ფარგლებში, ჩაერთონ მათთვის საინტერესო მონაცემების სათანადო შეგროვებისა და ღია ფორმატში ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის დაგეგმილ ღონისძიებებში.

# დანართი 1: ინფორმაციის ერთიან სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირებული საინტერესო მონაცემთა ბაზები

N#	ორგანიზაცია <sup>33</sup>	რეესტრები
1.	დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	დიასპორული ორგანიზაციების მონაცემთა ბაზა
2.	დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	საზღვარგარეთ არსებული ქართული საკვირაო და საჯარო სკოლების, ქართული ენის შემსწავლელი კურსების მონაცემთა ბაზა
3.	იურიდიული დახმარების სამსახური	მონვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი
4.	სამოქალაქო ავიაციის სააგენტო	საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრი
5.	საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი	სპორტული ორგანიზაციების, საზოგადოებებისა და ბაზების რეესტრი
6.	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტისა და ტრანზიტის სანებართვო რეესტრი
7.	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხების რეესტრი
8.	საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	განახლებადი ენერჯის პოტენციური წყაროების ნუსხა
9.	საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	საქართველოს ენერგო სექტორში მიმდინარე საინვესტიციო პროექტები
10.	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	კულტურული მემკვიდრეობის არამატერიალური ძეგლების სახელმწიფო რეესტრი
11.	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრი

<sup>33</sup> საჯარო დანებსებულებების დასახელება მოცემულია 2018 წლის მდგომარეობით, როგორც წარმოდგენილი იყო მიღებული საჯარო ინფორმაციის სახით. მას შემდეგ ცალკეული სამინისტროს და უწყების სახელი შეიცვალა.

12.	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	ავტოტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობის მონაცემები
13.	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	საერთაშორისო უსწორმასწორობის კოეფიციენტი (IRI)
14.	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	ხიდების, გვირაბების, გალერეების ნუსხა
15.	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია	ლაბორატორიული კვლევის შედეგების გაცემის რეესტრი
16.	საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო	სასტუმროებისა, ჰოსტელებისა და საოჯახო სასტუმროების ბაზა
17.	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	საქართველოს ფარმაცევტული პროდუქტების უწყებრივი რეესტრი
18.	საქპატენტი	გამოგონებების, დიზაინისა და ახალი ჯიშების რეესტრი
19.	სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების (კვოტირებული) სანებართვო რეესტრი
20.	სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო	საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე არსებული სერვისები
21.	სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	მუნიციპალური განვითარების ფონდის ტენდერების რეესტრი
22.	სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი	მიმდინარე დემოგრაფიული გამოკვლევა
23.	სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი	საგარეო ვაჭრობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა
24.	სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი	სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკა
25.	სსიპ - ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული ქონების რეესტრი
26.	სსიპ - ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონების ელექტრონული რეესტრი

<b>27.</b>	სსიპ - ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონების ელექტრონული რეესტრი
<b>28.</b>	სურსათის ეროვნული სააგენტო	ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება-დაფასობისა და ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება-დაფასობის ლიცენზიის რეესტრი
<b>29.</b>	სურსათის ეროვნული სააგენტო	წყლის სასაქონლო პროდუქციის კატეგორიის სერტიფიკატის რეესტრი
<b>30.</b>	სურსათის ეროვნული სააგენტო	მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების რეგისტრაციისთვის საჭირო მონაცემების შესახებ დასკვნის რეესტრი
<b>31.</b>	სურსათის ეროვნული სააგენტო	ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების რეგისტრაციის რეესტრი
<b>32.</b>	სურსათის ეროვნული სააგენტო	პესტიციდების რეგისტრაციის რეესტრი
<b>33.</b>	სურსათის ეროვნული სააგენტო	აგროქიმიკატების რეგისტრაციის რეესტრი
<b>34.</b>	ქონების მართვის სააგენტო	აგროქიმიკატების რეგისტრაციის რეესტრი

## დანართი 2: საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე ღია მონაცემების მნიშვნელობა ცალკეული სექტორებისთვის და კარგი პრაქტიკის მაგალითები

ღია მონაცემების გამოყენებით სარგებლის/შემოსავლის მიღება, მხოლოდ ერთი კონკრეტული სექტორისა თუ ჯგუფის ირგვლივ არ კონცენტრირდება. ღია სამთავრობო მონაცემების ხელმისაწვდომობისა და ხელახლა გამოყენების საკითხი მონაცემთა გამოყენებაზე ორიენტირებული კომპანიების ფართო სპექტრისთვის დიდ ინტერესს წარმოადგენს და ეკონომიკის რიგ სექტორებს მოიცავს (World Bank Group, 2015), კერძოდ:

**ჯანდაცვის სექტორი:** კომპანიები მომხმარებლებს ჯანდაცვის პროვაიდერებთან აკავშირებენ და მომსახურების ხარისხის შეფასება/კონტროლში ეხმარებიან, ამავდროულად ხელს უწყობენ სამართლიანი საბაზრო პოლიტიკის ფორმირებას. ღია მონაცემების გამოყენებას გააჩნია სარგებლის მიღების მაღალი პოტენციალი დაავადების პრევენციასა და მკურნალობის სწორად დაგეგმვის პროცესში. პროვაიდერების შემთხვევაში კი ეს სარგებელი დროული და თითოეულ პაციენტზე მორგებული მკურნალობის გეგმის გაწერით განისაზღვრება.<sup>34</sup> ჯანდაცვის სფეროში ოპერირებადი კომპანიები იყენებენ კლინიკურ და საავადმყოფოს მონაცემებს, მოსახლეობის სამედიცინო ჩანაწერებს, ასევე გეოსივრცით მონაცემებს, რათა მომხმარებელს გაუადვილდეს როგორც სააფთიაქო და სამკურნალო დაწესებულებების ადგილმდებარეობის, ისე მედიკამენტების ფასების განსაზღვრა და შედარება.

**საფინანსო სექტორი:** ეკონომიკური მაჩვენებლების, ბაზრის ტენდენციებისა და კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციის დამუშავება სამთავრობო მონაცემებზე წვდომის გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელი იქნებოდა. გამომდინარე აქედან, ფინანსური სექტორისთვის ღია მონაცემებზე წვდომა კრიტიკულად მნიშვნელოვანია. საინვესტიციო კომპანიები, სავაჭრო სფეროს წარმომადგენლები და ბაზრის მკვლევრები ღია მონაცემებს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად იყენებენ. ღია მონაცემები ასევე მნიშვნელოვანი წყაროა დაფინანსების მაძიებელი ახლად შექმნილი ბიზნესებისთვის/სტარტაპებისთვის, რაც ავტომატურად დამატებით სამუშაო ადგილებსაც ნიშნავს. გარდა ამისა, ღია მონაცემები მნიშვნელოვანი რესურსია საბანკო სექტორისთვის და ღია ბანკინგის სტანდარტის გაუმჯობესებისთვის.

<sup>34</sup> "Open data: Unlocking innovation and performance with liquid information", The McKinsey Global Institute, ოქტომბერი 2013, გვ. 11. ხელმისაწვდომია: <https://www.mckinsey.com/capabilities/mckinsey-digital/our-insights/open-data-unlocking-innovation-and-performance-with-liquid-information>



**განათლების სექტორი:** ღია მონაცემები ხელს უწყობს ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობას, ამალღებს გამჭვირვალობის სტანდარტებს და ხელს უწყობს ინოვაციების დანერგვას. პოტენციურად ყველაზე დიდი სარგებელი ეფექტური სტრატეგიებისა და მექანიზმების იდენტიფიცირების შედეგად დგება, რაც ღია მონაცემების გამოყენებით სწავლების მეთოდის გაუმჯობესების წინაპირობას წარმოადგენს.<sup>35</sup> საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხარისხის კონტროლის მიზნით, განათლების სექტორზე ორიენტირებული არაერთი ორგანიზაციის მიერ შეიქმნა აპლიკაცია/პლატფორმა, რომელიც მომხმარებელს სკოლის, ბაღის თუ უნივერსიტეტის სწორად შერჩევაში ეხმარება. გარდა ამისა, ღია მონაცემებს საგანმანათლებლო სფეროში მონაცემთა მეცნიერების და მასთან დაკავშირებული უნარების სწავლებისთვის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

**სოფლის მეურნეობის სექტორი:** ღია მონაცემები აუმჯობესებს ბაზრის გამჭვირვალობას და ეფექტურობას, ეხმარება ფერმერებს უფრო პროდუქტიული და ეფექტური ტექნიკის გამოყენებაში. ღია სამთავრობო მონაცემების გამოყენება ეხმარება მცირე ფერმერებს და ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებას.

**სატრანსპორტო სექტორი:** ღია მონაცემების გამოყენებამ ფაქტობრივად გარდაქმნა საქალაქო სატრანსპორტო სისტემა და მომხმარებელს გადაადგილების მარშრუტებზე ნვდომი მნიშვნელოვნად გაუადვილა. სატრანსპორტო სექტორი ღია სამთავრობო მონაცემთა დამუშავების და გამოყენების კუთხით მონინავა და მასზე დაყრდნობით ყოველწლიურად იქმნება ასობით აპლიკაცია. პოტენციურად, ეფექტურად დაგეგმილი მგზავრობის შემთხვევაში, სარგებლის მიღების ყველაზე დიდი წყაროა მომხმარებელთა გაზრდილი პროდუქტიულობა და დაზოგილი დრო.


**ენერგეტიკის სექტორი:** ღია მონაცემების გამოყენება ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებასაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს და მომხმარებლებს ენერჯის ყველაზე ეფექტური წყაროების იდენტიფიცირებაში ეხმარება. ენერგეტიკის სექტორისთვის სამთავრობო მონაცემები შეუცვლელია ენერჯის მოხმარების, განახლებადი ენერჯის წყაროების და გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგისთვის.

**უძრავი ქონების და საგონებლო სექტორი:** უძრავი ქონების და ურბანული დაგეგმარების სექტორები ღია სამთავრობო მონაცემებს ძირითადად ქონების ღირებულების განსაზღვრისთვის, ასევე ურბანული ტენდენციებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების გასაანალიზებლად იყენებენ.

<sup>35</sup> იქვე, გვ.10.

როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ღია მონაცემებზე დაყრდნობით შექმნილი პროდუქტი ციფრული გზით - ვებგვერდებისა და აპლიკაციების გამოყენებით ვრცელდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ღია მონაცემების კომერციული მიზნებისთვის გამოყენების სიახლიდან გამომდინარე, კომპანიების უმრავლესობა, რომლებიც მონაცემებზე დაყრდნობით მუშაობენ (ძირითადად საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) წარმოების სექტორი), ჯერ კიდევ Startup ფაზაში იმყოფებიან. თუმცა, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ჩატარებული მასშტაბური კვლევის თანახმად, მსგავსი ტიპის კომპანიები მომსახურების მიწოდებას ახდენენ ღია მონაცემების ღირებულებათა ჯაჭვის ყველა საფეხურზე. ამასთანავე, მსგავსი კომპანიები, მომდევნო წლებში, ღია მონაცემების გამოყენების შედეგად 11%-დან 60%-მდე ეკონომიკურ ზრდას პროგნოზირებენ.<sup>36</sup> ქვემოთ მოცემული დიაგრამა პროცენტულად გამოსახავს იმ კომპანიების შემოსავლის წყაროებს, რომლებიც ღია მონაცემებს იყენებენ.

### შემოსავლის ძირითადი წყაროები



წყარო: Berend (2020)

საქართველოში არსებული ღია სამთავრობო მონაცემების გამოყენების სიმწირისა და იდენტიფიცირებულ სექტორთა არარსებობის გათვალისწინებით, საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება საგულისხმოა. სხვადასხვა ქვეყნისა და ქალაქის პრაქტიკის შესწავლამ აჩვენა, რომ ღია საჯარო მონაცემების ხელმისაწვდომობის შედეგად კერძო სექტორის მიერ შექმნილი საინტერესო აპლიკაციებისა და სერვისების მრავალფეროვანი მაგალითები დაგროვდა. აღსანიშნავია, რომ ყველა შემთხვევაში, **მონაცემები, რომლის მეშვეობითაც ცალკეული აპლიკაცია თუ სერვისი დაინერგა ცალკეულ ქვეყანაში/ქალაქში, მუდმივად ქვეყნდება/ახლდება შესაბამისი საჯარო დანებსებულების მიერ, მონაცემები ხელმისაწვდომია ელექტრონულად დამუშავებად, ღია ფორმატში.**

<sup>36</sup>J. Berend et. al, "Re-using Open Data: A study on Companies Transforming Open Data into economic & societal value", European Data Portal, Luxembourg, ივლისი 2020, გვ. 9. ხელმისაწვდომია: [https://data.europa.eu/sites/default/files/re-using\\_open\\_data.pdf](https://data.europa.eu/sites/default/files/re-using_open_data.pdf)

ღია მონაცემების ეფექტურად გამოყენებას მნიშვნელოვანი ეკონომიკური ღირებულებები შექმნა შეუძლია, რაც არაერთი საერთაშორისო პრაქტიკით დასტურდება. ღია მონაცემთა წარმოებით მიღებული სარგებელი შესაძლოა ორი გარემოებით შეფასდეს. პირველი, როდესაც დეველოპერები ღია მონაცემებს ახალი და ღირებული პროდუქტის/მომსახურების შექმნისთვის იყენებენ და მეორე, როდესაც ისინი ღია მონაცემებს უკვე არსებულ პროდუქტსა თუ მომსახურებასთან აერთიანებენ. იდეალური სცენარის შემთხვევაში მივიღებთ „ციკლს“, სადაც ახალი პროდუქტი გაზრდის მოთხოვნას ღია მონაცემებზე, და პირიქით, სწორედ მონაცემები მიუთითებენ ახალი პროდუქტის/მომსახურების შექმნის საჭიროებაზე, შესაბამისად, ღია მონაცემები შესაძლოა სრულიად ახალი ბიზნესის შექმნის საფუძველიც გახდეს. მაგალითისთვის, **Dataviva ბრაზილიის** უმსხვილესი ღია მონაცემთა პორტალია. პლატფორმაზე წარმოდგენილია ქვეყნის ბოლო ათწლეულის სამთავრობო მონაცემები ეკონომიკის, განათლების, მრეწველობის, შრომის ბაზრისა და სხვა მსხვილი კატეგორიების მიხედვით. ელექტრონული პლატფორმა მილიარდამდე ვიზუალიზაციის მეშვეობით ახალ საჭიროებებს წარმოაჩენს და ხელს უწყობს სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის დიალოგს.

**აშშ-ს** ჯანდაცვის სფეროს შესწავლის მაგალითზე აღმოჩნდა, რომ ღია მონაცემების გამოყენებით შექმნილმა სარგებელმა ქვეყანას შესაძლოა დამატებით 300 მილიარდი დოლარი მოუტანოს.<sup>37</sup> მკვლევართა ვარაუდით, ღია მონაცემთა უკეთ გაანალიზება ქვეყანას მკურნალობის სხვადასხვა კატეგორიაში დაეხმარება როგორც სამედიცინო, ისე რენტაბელობის თვალსაზრისით. მაგალითად, 2012 წელს, ჯანდაცვის ღია მონაცემების ფარგლებში წარდგენილი ერთ-ერთი ინიციატივა სახელწოდებით **Asthmapolis**, ასთმის ინჰალატორების მომხმარებელთა მონაცემებს ღია გარემოსდაცვით მონაცემებთან (მაგ., მტვრის რაოდენობა და სხვა ალერგენების მონაცემები) აერთიანებდა, შედეგად კი ასთმის მქონე პაციენტების მკურნალობის პერსონალიზებულ გეგმებს შეიმუშავებდა.

ღია მონაცემების ხელახლა გამოყენების მნიშვნელობაზე, გავლენისა და წარმატების ის ისტორიები (impact and success stories) მეტყველებენ, რომელთაც უამრავ ქვეყანაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი შექმნეს. ღია მონაცემების მზაობის (Open Data Maturity) კვლევაში ერთ-ერთი მონინავე ქვეყნის, **კვიპროსის** შემთხვევაში, ღია მონაცემთა პოლიტიკა ძირითადად საჯარო სექტორის ინფორმაციაზეა ორიენტირებული. ქვეყანა მუდმივად აახლებს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის, ასევე და სწორი სამუშაო პოლიტიკის დანერგვაზე ორიენტირებულ ღია მონაცემებს.<sup>38</sup> მაგალითად, კვიპროსში შექმნილი ვებ-პლატფორმა **Air Quality in Cyprus** ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ ანვდის მომხმარებლებს ინფორმაციას მთელი ქვეყნის მასშტაბით. პლატფორმის

<sup>37</sup> W. Carrara et. al, "Creating Value Through Open Data", European Data Portal (EDP), ნოემბერი 2015. გვ. 12. ხელმისაწვდომია: [https://data.europa.eu/sites/default/files/edp\\_creating\\_value\\_through\\_open\\_data\\_0.pdf](https://data.europa.eu/sites/default/files/edp_creating_value_through_open_data_0.pdf)

<sup>38</sup> L. V. Knippenberg, "Open Data Best Practices in Europe: Examples from Cyprus, France and Ireland", Capgemini Invent, მაისი 2020. გვ. 8. ხელმისაწვდომია: [https://data.europa.eu/sites/default/files/report/20200518\\_AR16\\_ODM%20Top%20Performing%20Countries\\_V1.1\\_FINAL.pdf](https://data.europa.eu/sites/default/files/report/20200518_AR16_ODM%20Top%20Performing%20Countries_V1.1_FINAL.pdf)

შემქმნელები იყენებენ ჰაერის ხარისხის საზომი სადგურებისგან რეალურ დროში მიღებულ ინფორმაციას. მსგავსი ტიპის პლატფორმა შეიქმნა **ესტონეთშიც**. კერძოდ, **ესტონეთის გარემოსდაცვითი კვლევის ცენტრი** დიდ ქალაქებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შესახებ რეალურ დროში აწვდის მომხმარებელს სრულ ინფორმაციას. ღია მონაცემთა კომბინაციამ შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს გარემოსდაცვითი პოლიტიკის შექმნასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, ხელი შეუწყოს იმ ინტერვენციებს, რომლებიც ჰაერის დაბინძურების შემცირებასა და მისი უარყოფითი ეფექტების შერბილებისკენაა მიმართული. მაგალითად, მონაცემთა მეცნიერებს შეუძლიათ დაბინძურების მაღალი დონის მქონე რეგიონებისა და ქალაქების იდენტიფიცირების შედეგად, მიზნობრივი ძალისხმევა კონკრეტული წყაროებისკენ მიმართონ, როგორცაა ტრანსპორტი ან მრეწველობა, რაც საბოლოოდ შეამცირებს დამაბინძურებელ ემისიებს. აღსანიშნავია, რომ ღია მონაცემების ხელმისაწვდომობა გარემოსდაცვით სხვა საკითხებზეც დადებითად ზეგავლენას ახდენს. ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაგალითზე ჩატარებული კვლევით ასევე დადგინდა, რომ ღია სამთავრობო მონაცემების ხელმისაწვდომობას აქვს პოტენციური გადაარჩინოს 1,425 სიცოცხლე წელიწადში (საგზაო შემთხვევების 5,5%), ხოლო მონაცემების საგზაო რუკებთან ინტეგრირებამ შესაძლოა დაზოგოს ევროკავშირის მოქალაქეთა 629 მილიონი საათი.<sup>39</sup>

გავლენისა და წარმატების კიდევ ერთი ისტორია **ირლანდიას** უკავშირდება, სადაც პლატფორმა DublinBikes-მა ღია მონაცემებზე დაყრდნობით დუბლინში არსებული ველოსიპედების უდიდესი სქემა შექმნა. DublinBikes, ქალაქის რუკასთან შერწყმით მომხმარებელს ველოსიპედების ხელმისაწვდომობის შესახებ აწვდის ინფორმაციას. ამ მონაცემების ვიზუალიზაცია შესაძლებელია გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

**უკრაინის** კარგი პრაქტიკის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ ღია მონაცემები მომხმარებლების მიერ გადაწყვეტილების უკეთ მიღებასაც ხელს უწყობს. კერძოდ, სახელმწიფო რეესტრში არსებულ ინფორმაციაზე დაფუძნებული მედიკამენტების პლატფორმა **tabletki.ua**, რომელიც მომხმარებელს მედიკამენტების შემადგენლობის, ფასებისა და შედარების შესაძლებლობას აძლევს და ავთიაქებში ხელმისაწვდომობის შესახებ აწვდის ინფორმაციას.

მცირე და საშუალო ბიზნესი ღია მონაცემებზე დაფუძნებული პროდუქტებითა და სერვისებით, როგორცაა გლობალური ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი სისტემები (GPS), ფინანსური სერვისები და პროგრამული აპლიკაციები, ქმნიან ახალ ბიზნესს და სამუშაო ადგილებს. მაგალითისთვის, ინდუსტრიული ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის

<sup>39</sup> W. Carrara et. al, "Creating Value Through Open Data", European Data Portal (EDP), ნოემბერი 2015. გვ. 12. ხელმისაწვდომია: [https://data.europa.eu/sites/default/files/edp\\_creating\\_value\\_through\\_open\\_data\\_0.pdf](https://data.europa.eu/sites/default/files/edp_creating_value_through_open_data_0.pdf)

შედეგად დადგინდა, რომ GPS მონაცემების გამოყენებით, **აშშ-ის** ბიუჯეტი ყოველწლიურად \$100 მილიარდით იზრდება და ინარჩუნებს 3.3 მილიონ სამუშაო ადგილს. გარდა ამისა, **ფინეთში** ჩატარებული კვლევის თანახმად, კომპანიები, რომლებიც ხელახლა იყენებენ საჯაროდ ხელმისაწვდომ გეოგრაფიულ მონაცემებს, 15%-ით მეტი წლიური მოგება აქვთ, ვიდრე იმ ქვეყნებს, რომლებიც აღნიშნულ ინფორმაციას უფასოდ არ გასცემენ.<sup>40</sup>

საჯარო დაწესებულებები შემდეგი კატეგორიის მონაცემთა ბაზებს აქვეყნებენ: განათლება, ეკონომიკა, წარმოება, გარემოს დაცვა, ჯანდაცვა, ტურიზმი, ტრანსპორტი, არქიტექტურა, ისტორია და ა.შ. **ყველაზე გავრცელებული და ამავდროულად გამოსაყენებელი არის რუკები და გეოგრაფიული კოორდინატების შემცველი მონაცემები.** ზოგადად, თუ ნებისმიერი ტიპის მონაცემები ინტეგრირებადია მათ გეოგრაფიულ კოორდინატებთან/რუკებთან, შესაძლებელი ხდება მრავალფეროვანი და სასარგებლო აპლიკაციების/სერვისების შექმნა. საერთაშორისო პრაქტიკამ აჩვენა, რომ **სატრანსპორტო ქსელის ირგვლივ არსებული ღია სამთავრობო მონაცემები ერთ-ერთი მონიშნავა ეკონომიკური სარგებლიანობის კუთხით, რასაც ლონდონის** სატრანსპორტო მონაცემების ხელახალი გამოყენების მაგალითებიც ადასტურებს. კერძოდ, ღია სამთავრობო მონაცემებს მომხმარებელზე ორიენტირებული კომერციული თუ არაკომერციული სერვისების შესაქმნელად ისეთი დიდი კომპანიები იყენებენ, როგორებიცაა Waze, Twitter, Google, Apple, Citymapper, Bus Checker, Bus Times და Mapway და სხვა.<sup>41</sup> **CityMapper - ლონდონის ტრანსპორტის (TFL) მონაცემებზე** დაყრდნობით შექმნილი აპლიკაცია, რომელიც მომხმარებელს საზოგადოებრივი ტრანსპორტის განრიგების, ტაქსით გადაადგილების და ტარიფების შესახებ ანვდის ინფორმაციას. აპლიკაცია ხელმისაწვდომია Offline რეჟიმშიც. მსგავსი აპლიკაციების გამოყენება მგზავრებს მარშრუტის დაგეგმვას უმარტივებს და დროს მნიშვნელოვნად უზოგავს (2017 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, დაზოგილი დრო 70-90 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე შეფასდა). სატრანსპორტო ქსელის ირგვლივ არსებულ მონაცემთა გამოყენების წარმატებული მაგალითია **იტალიური OpenMove**, რომელიც მობილური აპლიკაციის მეშვეობით მომხმარებელს ნებისმიერი სატრანსპორტო ბილეთის შეძენის შესაძლებლობას აძლევს. აპლიკაციის გამოყენება კომფორტულია ერთი მხრივ მომხმარებლისთვის, ხოლო მეორე მხრივ სატრანსპორტო თუ საპარკინგე დაწესებულებისთვის, მიიღოს ინფორმაცია მომხმარებლის მიერ ციფრული მექანიზმების გამოყენების შესახებ.

**ნიდერლანდების** სამეფოში მდებარე ნიემეგენის მუნიციპალიტეტის შემთხვევა კიდევ ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ იქმნება მოქალაქეებისთვის სასარგებლო სერვისი ღია მონაცემების გამოქვეყნებით.

<sup>40</sup> D. Tinholt, "The Open Data Economy: Unlocking Economic Value by Opening Government and Public Data", Capgemini Consulting, 2013, გვ. 8. ხელმისაწვდომია: [https://www.capgemini.com/wp-content/uploads/2017/07/the\\_open\\_data\\_economy\\_unlocking\\_economic\\_value\\_by\\_opening\\_government\\_and\\_public\\_data.pdf](https://www.capgemini.com/wp-content/uploads/2017/07/the_open_data_economy_unlocking_economic_value_by_opening_government_and_public_data.pdf)

<sup>41</sup> "Assessing the value of TfL's open data and digital partnerships", Deloitte LLP, London, ივლისი 2017, გვ. 15. ხელმისაწვდომია: <https://content.tfl.gov.uk/deloitte-report-tfl-open-data.pdf>

**მუნიციპალიტეტი საკუთარ ღია მონაცემთა პორტალს** რუკის შესაქმნელად იყენებს, რომელიც თითოეული მოქალაქისთვისაა ხელმისაწვდომი და მასზე განთავსებულია მატარებლის სადგურები, ავტობუსის გაჩერებები, ავტოსადგომები, საარჩევნო უბნები, მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული ისტორიული და კულტურული ძეგლების, აგრეთვე მრავალწლიანი ხეების ლოკაციები და ა.შ. მუნიციპალიტეტი ინფორმაციის განახლებას სეზონის შესაბამისადაც ახდენს, მაგალითად, ზამთრის სეზონზე რუკა აჩვენებს თუ რომელ საავტომობილო გზაზე მოხდა ან/და იგეგმება მარილის მოყრა. გარდა ამისა, ღია მონაცემთა პორტალზე მოსახლეობის მიერ გაზის, წყლისა და ელექტროენერჯის მოხმარების სტატისტიკაც ქვეყნდება, რაც კომუნალური სერვისების მოხმარების პროგნოზირებას ამარტივებს.

### **ღია მონაცემთა პორტალის გამოყენებით დაინთერესებული მხარეების მიერ შექმნილი სხვა აპლიკაციები / სერვისები**

**CleanSpot:** მუნიციპალური მონაცემების (ბარსელონას ღია მონაცემების პორტალი) გამოყენებით შექმნილი აპლიკაცია, რომელიც მომხმარებელს, მისთვის არასასურველი ნივთების თავიდან მოშორების მიზნით, ქალაქში არსებული სპეციალური სივრცეების შესახებ აწვდის ინფორმაციას. სუფთა კონტეინერის მეშვეობით მოქალაქეს შეუძლია ელემენტების, ელექტრო მოწყობილობების, ნათურების, აგრეთვე ტანსაცმლის, წიგნებისა და სხვა ნივთების ადგილზე დატოვება. აპლიკაცია ნარჩენების სწორად შეგროვებასა და გადამუშავებაზეა ორიენტირებული.

**Cycle Atlanta** - ღია მონაცემებზე დაყრდნობით შექმნილი მობილური აპლიკაცია, რომელიც მოქალაქეებს ველოსიპედით უსაფრთხო გადაადგილებაში ეხმარება. ქალაქის რუკის გამოყენებით, მომხმარებელი თავად ნიშნავს ველოსიპედით გადაადგილების უსაფრთხო მარშრუტს, მათ შორის, შესაბამის დაწესებულებას აწვდის ინფორმაციას ორმოების, ან სხვა მსგავსი ხელისშემშლელი გარემოების შესახებ.

**Dort! Wien** - ღია მონაცემთა ბაზების გამოყენების შედეგად შექმნილი პოპულარული აპლიკაცია, რომელიც აუდიოვიზუალური მასალის მეშვეობით აერთიანებს ვენის ღირსშესანიშნაობის, კულტურული ძეგლების, ტურისტული მარშრუტების და სხვ. შესახებ ინფორმაციას. მომხმარებელს შეუძლია მონიშნოს ინტერესის სფეროები, ან საკუთარი ადგილმდებარეობის მონიშვნით პირდაპირ მიიღოს ინფორმაცია ახლომდებარე საინტერესო ობიექტების/ძეგლების შესახებ. აპლიკაციის შემქმნელებმა ვენის ღია მონაცემთა პორტალზე განთავსებული შემდეგი სახის ღია მონაცემები გამოიყენეს: ქალაქის მასშტაბით პოპულარული ადგილების ჩამონათვალი, მუზეუმებისა და კოლექციების ჩამონათვალი, ხელოვნების საზოგადოებრივი სივრცეების ჩამონათვალი, საშობაო ბაზრებისა და საახალწლო სტენდების ჩამონათვალი, ავტომობილის გაქირავების სერვისების ჩამონათვალი, ინფორმაცია ქალაქის მასშტაბით არსებული ველობილიკების შესახებ და სხვა.

**We go to school** - აპლიკაციის მიზანია მომხმარებელს ახლომდებარე საგანმანათლებლო დაწესებულების, მათ შორის სკოლებისა და ბალების სწორად შერჩევაში დაეხმაროს. აპლიკაცია შეიქმნა ბარსელონას ღია მონაცემთა პორტალზე განთავსებული ისეთი მონაცემების გამოყენებით როგორც არის - საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამონათვალი ქალაქ ბარსელონას მასშტაბით და ბარსელონას ქუჩების ქსელის გეოსაინფორმაციო სისტემა.

**PulsePoint** (სხვადასხვა ქვეყანა, მათ შორის აშშ) და **GoodSAM** (ინგლისი) - უნიკალური მობილური აპლიკაცია, რომლის საშუალებით მოქალაქეები გარშემომყოფთაგან იღებენ პირველად დახმარებას. აშშ-ში აპლიკაცია პირდაპირ უკავშირდება 911-ზე შესულ ზარებს, შემთხვევების ადგილის მითითებით. სამედიცინო, ან სხვა საჭიროების მქონე მოქალაქეს დახმარება შესაძლოა გარშემომყოფმა, სასწრაფო ან სამაშველო სამსახურის ადგილზე მოსვლამდე აღმოუჩინოს.

**Ackee – LuckyMe!** - ჩეხური აპლიკაცია, რომელიც ხელმისაწვდომია Iphone-სა და Apple Watch-ზე. მისი საშუალებით მომხმარებელს შეუძლია თავიდან აირიდოს გაქურდვის შემთხვევა. კერძოდ, აპლიკაცია სხვადასხვა მონაცემებზე დაყრდნობით, აფასებს ქალაქის ქუჩების უსაფრთხოებას. აპლიკაციაში მოცემულია ცალკეულ უბანზე დანაშაულის რისკის შემცველობა (1-დან 5-მდე ქულიან შკალის მიხედვით). მომხმარებელს შეუძლია თავად დააფიქსიროს სხვადასხვა ტიპის დანაშაულის (ხულიგნობა, ძარცვა, თავდასხმადა ა.შ) ფაქტი. ქუჩების შეფასებისას, აპლიკაცია იყენებს სასწრაფო გადაუდებელი დახმარების შესახებ შესული შეტყობინებების ანალიზს, მუნიციპალური პოლიციის, აგრეთვე თავად მომხმარებლების მიერ განთავსებულ მონაცემებს.

**BlindSquare** - წარმოადგენს ინკლუზიური პროექტების წახალისების თვალსაჩინო მაგალითს. აპლიკაციის მეშვეობით უსინათლო პირები ქალაქში აუდიო მითითებების მეშვეობით გადაადგილდებიან. ადგილმდებარეობის დადგენისთანავე, BlindSquare მომხმარებელს აწვდის ინფორმაციას მისთვის ხელსაყრელი საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერების, კაფეების, ბიბლიოთეკის და ა.შ. შესახებ.

**HD Scores** - აპლიკაცია აერთიანებს რესტორნების, სკოლების, საავადმყოფოების, სასტუმროების, მაღაზიების და სუპერმარკეტების სურსათის უვნებლობის პარამეტრებსა და შესაბამისი შემოწმების სიხშირის შესახებ არსებულ ინფორმაციას და საჭაროდ ხელმისაწვდომ სხვადასხვა წყაროს ეყრდნობა. აპლიკაცია შეიქმნა საკვების შედეგად გამოწვეული დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით. აპლიკაცია ეყრდნობა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ზედამხედველობის სამსახურების, აგრეთვე მათი ადგილობრივი წარმომადგენლების მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებს, რომლებიც საჯარო ვებგვერდებზეა განთავსებული. მონაცემების განახლება ხდება ყოველ კვირას.

**Husets Web** - დანიური ელექტრონული პლატფორმა, რომელიც ღია მონაცემების ბაზებსა და დანიური სახლების არქიტექტურულ ელემენტებზე დაყრდნობით მოქალაქეებს ელექტროენერჯის მოხმარების შემცირებაში ეხმარება. მშენებლობის 200 წლიან სტატისტიკასა და გათბობის სისტემების შესახებ ინფორმაციის გენერირების საფუძველზე შექმნილია ელექტროენერჯის ოპტიმალური მოხმარების მთვლელი სისტემა, რომელიც თითოეულ მოქალაქეს სისტემის გამოყენების შემთხვევაში (მოქალაქეს თავად შეუძლია სისტემაში დაამატოს ინფორმაცია შენობის, აგრეთვე გათბობის სისტემის შესახებ) კომუნალურ გადასახადს უმცირებს.





